WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№10 (244) • 30.III-2.IV.2013 წელი • გამოდის ოთხშაბათს • www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

# saxi faTo TamaSi, saxelad koabitacia



სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის დატოვება, ეს იგივეა დაუტოვო ბომბი ტერორისტს, რომელმაც ეს-ესაა რომელიღაც ობიექტი ააფეთქა და ახლა მეორის აფეთქებას აპირებს

## Sizofreniis sezoni



## მაიკლ ჩეჩიძე: დემოკრატიული განვითარების ქართული გაკვეთილები



## სტრესი ორგანიზმს ნელ-ნელა ანგრევს

## ხალები ადამიანების ბედს განსაზღვრავენ

## ოფიციალური თბილისი რუსეთის მიერ შავ ზღვაში სამხედრო წვრთნების დაწყების გამო შეშფოთებას გამოთქვამს




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება შავი ზღვის რეგიონში რუსული შეიარაღებული შენაერთების ფართომასშტაბიანი წვრთნების მოულოდნელად დაწყებას.

რუსეთის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, რომ წვრთნებში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 7000 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, საავიაციო და საზღვაო შენაერთებიდან, და ჩართულია 30-ზე მეტი სამხედრო ხომალდი. წვრთნები საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიახლოვეს ტარდება. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ წვრთნების ჩატარების ხანგრძლივობის და სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ზუსტი ადგილმდებარეობის თაობაზე.

"აღნიშნული წვრთნები არის უჩვეულო, დაუგეგმავი და სცდება სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს, რომელიც შესაბამისობაშია "ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ" ვენის 2011 წლის დოკუმენტთან. ამასთან, მასშტაბურობიდან გამომდინარე, წვრთნები ვერ მიიჩნევა მოსალოდნელ საფრთხეზე პროპორციულ რეაგირებად.

რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება ევროპის სამეზობლოში სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის დაცვის ინტერესებს. საქართველო შეშფოთებულია რუსული სამხედრო შენაერთების მოულოდნელი და პროვოკაციული ქმედებებით, ისევე როგორც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში, საქართველო რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების შეიარაღების და/ან პერსონალის გამოყენების პოტენციური საფრთხით.

ცალმხრივად განხორციელებული სამხედრო ქმედებები საქართველოს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმ ფონზე, რომ რუსეთი კვლავაც უარს აცხადებს, უპასუხოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს ცალმხრივად ნაკისრ ვალდებულებას ძალის არგამოყენების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 7 მარტს ერთსულოვნად მიღებული დეკლარაციით დაადასტურა", - ნათქვამია საქართველოს საარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება და გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოსა და რუსეთს შორის ძალის არგამოყენების მტკიცე რეჟიმის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმებით იქნება გამყარებული.

## ზაზა გაბუნია: ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 90-დღიანი უბადრუკი ინდულგენცია იყიდა



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნიას განცხადებით, საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ნათელი გახდა, რომ დღეს ნაციონალების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანი იყო არა ვინმეს გათავისუფლება თანამდებობიდან, არამედ თბილისში 90 დღით უბადრუკად, სამარცხვინოდ შენარჩუნება ძალაუფლების.

როგორც მან სხდომის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ გადაწყვეტილების მიზანი არის პოლიტმოტივაცია, ნაციონალური მოძრაობის პანიკური შიში, რომ ისინი დაკარგავენ ძალაუფლებას თბილისში. „ეს ყველაფერი ჩვენ კარგად დავინახეთ. ამით მათ იყიდეს 90-დღიანი უბადრუკი დოკუმენტი, სახელად ინდულგენცია და წავიდნენ პოლიტიკურ სანატორიუმში დასასვენებლად", — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ნაციონალურმა მოძრაობამ თავისივე ინიციატივა ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ თვითონვე ჩააგდო, რითაც ზაალ სამადაშვილს სამი თვით გაუხანგრძლივდა თანამდებობაზე ყოფნის ვადა, რადგან ამ ხნის განმავლობაში საკრებულოს დეპუტატებს ამავე საკითხის ინცირების კანონიერი უფლება არ აქვთ.

## შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა




ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული ჯაშარ კ, 1981 წელს დაბადებული მალხაზ ს, 1990 წელს დაბადებული სალიბეგ გ. და 1976 წელს დაბადებული ედუარდ ნ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დღეს, გამთენიისას, დაახლოებით 04:00 საათზე, ავტომატით, პისტოლეტებითა და დანებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პიროვნება მარნეულის შესასვლელში მდებარე გაზგასამართ სადგურში შეიჭრა, რა დროსაც ადგილზე ორი ოპერატორი იმყოფებოდა. ბოროტმოქმედებმა 4 ათას ლარზე მეტი თანხა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად სამართალდამცველებმა თავდამსხმელების თანამზრახველი, ტაქსის მძღოლი ედუარდ ნ. ცხელ კვალზე, შემთხვევიდან ერთ საათში, გაზგასამართი სადგურიდან 2 კილომეტრში, ხოლო სამივე ბოროტმოქმედი მარნეულთან ახლოს, საავტომობილო მაგისტრალზე დააკავეს.

დაკავებულთა პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „ა-კა-ეს"-ის ტიპის ავტომატური იარაღი 29 ვაზნით, ბარაბნიანი პისტოლეტი 4 ვაზნით, პისტოლეტი ერთი მჭიდით, დანები, ფულადი თანხა და ნიღბები ამოიღეს. „ოპელი"-ს მარკის ავტომობილიდან, რომელიც თავდამსხმელებმა გადაადგილებისთვის გამოიყენეს, ამოღებულია „ერ-გე-დე"-ს ტიპის ხელყუმბარა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით (ყაჩაღობა საცავში ან სადგომში შეღწევით, ჯგუფურად) მიმდინარეობს, რაც 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ცოტნე გამსახურდია - „ზვიადობის" დაკანონებით მარგინალთა ჯგუფი პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას ცდილობს

31 მარტს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. გავრცელებული ინფორმაციით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამ თარიღის პომპეზურად აღნიშვნის დაკანონებას და "ზვიადობის" გამართვას აპირებს. ამ საკითხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ექს-პრეზიდენტის ვაჟს, ყოფილ პოლიტპატიმარ ცოტნე გამსახურდიას. როგორც ის გაზეთ "ვერსიასთან" ინტერვიუში აცხადებს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას ცდილობს.



„არ ვემხრობი ადამიანების გაფეტიშებას, ისევე როგორც არ ემხრობოდა მამაჩემი. ძალიან გთხოვთ, ეს დააფიქსიროთ. მე პირველად მესმის ასეთი ტერმინი "ზვიადობა", რაც გავრცელდა. ვინ არის ამის ორგანიზატორი, არ ვიცი და რაღაც მარგინალური ჯგუფი მგონია, რომელიც ცდილობს ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას. არ მიმაჩნია, რომ მამაჩემის გარდაცვალებიდან ასე მოკლე ხანში საჭიროა მსგავსი ღონისძიებების გამართვა და პომპეზური ორეულის შექმნა... ზვიადის მმართველოს დროს იყო არასწორი სვლებიც, მაგრამ იყო ეპოქალური მნიშვნელობის პროცესებიც. ეს დროისა და ისტორიის შესაფასებელია და არა ადამიანების გარკვეული ჯგუფის", - აცხადებს ცოტნე გამსახურდია.

ინტერვიუში ექს-პრეზიდენტის ვაჟი ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაპირისპირება სწორედ ამ ნიადაგზე მოუვიდა. ამ პროცესის ხელმძღვანელობის სურვილი ხელისუფლებამ გამოთქვა, რაზეც ექს-პრეზიდენტის ვაჟმა უარი განაცხადა.

„ღია დაპირისპირება იმ პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ისინი ჩემგან ითხოვდნენ, მათთვის დამეთმო ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების პროცესის ხელმძღვანელობა, რაც არ გავაკეთე. მათ აამოქმედეს სხვადასხვა მეთოდები, მოქრთამვიდან დაწყებული, დაშინების მცდელობით დამთავრებული...

მამაჩემის ნეშტი წინა ხელისუფლებას არ ჩამოუსვენებია, ის მე ჩამოვასვენე. ამაში საამაყო არაფერია, უბრალოდ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა შვილს. 2007 წელსვე გაჩნდა ეს ვერსია, როცა ნეშტის ძიებისა და შემდგომ ჩამოსვენებისა და რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდა...

ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის პროცესია ხალხმრავალი იყო. ის გზად, მამადავითისკენ, პარლამენტის წინ შეჩერდა. ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესია მიხეილ სააკაშვილისთვის გაკეთდა", - აცხადებს ცოტნე გამსახურდია.

გავრცელებული ინფორმაციით, ექს-პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე მომხრე იყო, სახელმწიფო ჩაბმულიყო ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენების პროცესში, რის გამოც შვილთან უთანხმოება ჰქონდა.

„იყო გარკვეული უთანხმოებაც, რომელზეც საუბარი ამ ეტაპზე არ მსურს", - ამბობს ცოტნე გამსახურდია.

ზვიად გამსახურდიას 31 მარტს 74 წელი შეუსრულდებოდა. 2007 წლის 28 მარტს ექს-პრეზიდენტის ნეშტი რუსეთიდან საქართველოში ჩამოასვენეს, 1-ელ აპრილს კი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის საფლავებს შორის დაკრძალეს.

## სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს



რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ამის შესახებ ინფორმაციას "მეცხრე არხი" ავრცელებს.

საქმე ეხება გასული წლის ნოემბერის თვეში თბილისში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობას, როდესაც სავაჭრო ცენტრ "ქარვასლასთან" ბიზნესმენი ავთანდილ ადუაშვილი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს.

მეცხრე არხის ინფორმაციით, მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პავლიაშვილს დანაშაულის შემკვეთად ასახელებენ. ცნობილია, რომ ადუაშვილს და პავლიაშვლს ერთმანეთთან მეგობრობა აკავშირებდათ. მკვლელობის ფაქტზე უკვე 6 პირია დაკავებული, მათ შორის პავლიაშვილის სიძე ჩხაპელია. საქმეში პავლიაშვილის ეპიზოდი ცალკე საკითხად არის გამოყოფილი, რადგან იგი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# Sizofreniis sezoni

## მოცემულ სიტუაციაში ქართველ კაცს სხვა მოკავშირე, გარდა ბიძინა ივანიშვილისა, არ ჰყავს, ისე, როგორც არ ჰყავს ბიძინა ივანიშვილს სხვა მოკავშირე, გარდა ქართველი ხალხისა

*უცნაური სიტუაციაა დღეს საქართველოში – ლოგიკას და ახსნას რომ არ ექვემდებარება, ისეთი.*

*უცნაური სიტუაციაა დღეს საქართველოში – შიზოფრენიასთან მიახლოებული, არანორმალური, აბსურდული სიტუაცია, რომელსაც თავისი უტიფრობით, ურცხვობით, ცინიზმით, ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი.*

*ყოველივე ამის კულმინაცია მაინც ევროსაბჭოს ის სხდომა იყო, სადაც პრეზიდენტად წოდებულმა კაცმა, მოქალაქე სააკაშვილმა, უტიფრობის ყველანაირი რეკორდი მოხსნა და კიდევ ერთხელ, პრეზიდენტის რანგში უკანასკნელად, შეაყარა თვალში ნაცარი ევროპას და დანარჩენ მსოფლიოსაც და რაც მთავარია, ამჯერად უკვე ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ „დააშარდა“ თავზე ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია.*

დემოკრატიაზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე ხან ინგლისურად, ხან ფრანგულად ლაპარაკობდა კაცი, რომლის მმართველობის პერიოდში 190-ზე



მეტი პოლიტპატიმარი ჰყავდა ქვეყანას, და სხდომათა დარბაზიდან არავის, არც ერთ ადამიანს არ უკითხავს უტიფარისთვის : - თქვენ დემოკრატიაზე საუბარს როგორ ბედავთ, როცა ამდენი პოლიტპატიმარი გყავდათ გამომწყვდეული თქვენს გეტოებში, რომლებიც მხოლოდ ახლახან გაათავისუფლა ახალმა ხელისუფლებამო?

არავინ, არც ერთი ადამიანი არ აღმოჩნდა სხდომის უამრავი მონაწილიდან, რომელიც ამ შეკითხვას დასვამდა, არ აღმოჩნდა ის ქართული დელეგაციის იმ ნაწილშიც, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის სახელით გაემგზავრა სტრასბურგში და გამგზავრებამდე მაგრად იქადნებოდა: - აი, ნახავთ, რა შავ დღეს დავაყრით სააკაშვილს ევროსაბჭოს სხდომაზეო.

ერთადერთი, ვინც ქართული დელეგაციიდან კითხვა დასვა ბატონი თედო ჯაფარიძე იყო, თუმცა კითხვა ისეთი „დიპლომატიურ-პადხალიმაჟური“ გახლდათ, სჯობდა, არც მას ამოეღო ხმა და ყოფილიყო თავისთვის გატრუნული და გაყუჩებული.

ჩხუბის შემდეგ მუშტებს არ იქნევენ, თუმცა ქართული დელეგაციის წარმომადგენლებმა სწორედ ჩხუბის ანუ სხდომის დამთავრების შემდეგ იქნიეს მუშტები: - სააკაშვილს კითხვების დასმისთვის განკუთვნილი დროც თვითონ რომ არ მიეთვისებინა, ისეთი ჩამჭრელი კითხვების დასმას ვაპირებდით, ძალიან ცუდ დღეში ჩავაგდებდითო.

განსაკუთრებული მოწადინებით მაინც ლევან ბერძენიშვილი იგესლებოდა და დრო არ გვეყო, თორემ ამას ვიზამდი და იმას ვიზამდიო, – გვიმტკიცებდა.

ეს ის ბერძენიშვილია, რომელმაც ამ "ისტორიულ" სხდომამდე ცოტა ხნით ადრე ასეთი რამ განაცხადა: - ჩვენ უნდა ვიხსნათ სააკაშვილის იმიჯი და ქვეყნის იმიჯი.

ქვეყნის იმიჯის ხსნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სააკაშვილის იმიჯი კი ნამდვილად იხსნეს საპარლამენტო უმრავლესობის სახელით ევროპაში მივლინებულებმა.

**ვინ ხართ, კაცო, თქვენ, — „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და მისი წარმომადგენლები, თუ სააკაშვილის და "ნაცმოძრაობის" ფარული მოკავშირეები და მეგობრები?**

უმრავლესობიდან ყველაზე მეტად მაინც ირაკლი ჩიქოვანმა ივაჟკაცა და ისეთი "პადღერჟკა" გაუკეთა სააკაშვილს, ჩიორას გული აუჩვილდა და ცრემლმორეულმა განაცხადა: — მისასალმებელია უმრავლესობის საქციელი – როცა საკითხი სამშობლოს ეხება, ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, როგორც ეს ამ სხდომაზე მოხდაო.

ეჭვი მეპარება, რომ "ნაცმოძრაობას" და ჩვენ, დანარჩენ ქართველებს, ერთი სამშობლო გვქონდეს.

ეჭვი მეპარება, რადგან სამშობლოს ისე არ ექცევიან, როგორც "ნაცმოძრაობა" ამ ცხრა წლის განმავლობაში მოექცა.

"ნაცმოძრაობა", თავის ბელადთან ერთად, უფრო დამპყრობელს ჰგავდა, უფრო ზუსტად, ვიღაცის მიერ დაქირავებულ სადამსჯელო საეგზეკუციო არმიას, რომელიც დასაპყრობად ბოძებულ ქვეყანას სასტიკად არბევდა, აოხრებდა, ძარცვავდა, მოსახლეობას ციხეებში ყრიდა, ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა.

**190 პოლიტპატიმარი, 48 000 პატიმარი, ასობით ქუჩაში დახვრეტილი ადამიანი, გაჩანაგებული ეკონომიკა, ქვეყნისთვის წაგლეჯილი მილიარდები, გასხვისებული და გაყიდული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, მილიონამდე ღატაკი ადამიანი, ქვეყნიდან გაქცეული ასიათასობით მოქალაქე – აი, სააკაშვილისა და "ნაცმოძრაობის" ცხრაწლიანი "მოღვაწეობის" შედეგი და ყოველივე ამის შემდეგ ვის მოუტრიალდება ენა იმის სათქმელად, რომ "ნაციონალებისთვის" საქართველო სამშობლო იყო?**

უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი ძალისხმევითა და ევროპიელთა დახმარებით ევროსაბჭოს რეზოლუციაში რუსეთის მისამართით დარჩა სიტყვა "ოკუპანტი", რაც ყველამ დიდი მნიშვნელობის წარმატებად მიიჩნია.

სიტყვა "ოკუპანტი" კი დარჩა, მაგრამ არავის უკითხავს მოქალაქე სააკაშვილისთვის – რატომ ქმნიდა იგი ამ ოკუპაციისთვის ხელსაყრელ პირობებს, როცა ღალის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა ოფიციალურად და ხეობის დამცველ სვანებს ანიარაღებდა?

ასევე რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი ისტორიულ სამაჩაბლოს ასევე ოფიციალურად, ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებდა და იქ არჩევნებს ატარებდა, რის შედეგადაც საქართველოს ოფიციალურად, ახალი ადმინისტრაციული ერთეული და მესამე პრეზიდენტი ვოვა სანაკოევი შეემატა თავისი მრავალრიცხოვანი ამალით.

რატომ არავინ ჰკითხა მოქალაქე სააკაშვილს, მისი მოქმედებები რატომ იყო ასე კარგად მორგებული ოკუპანტის გეგმასთან?

**ხომ არ იყო ეს ფარული გარიგება ოკუპანტთან, ანუ თავად ბატონი სააკაშვილიც ოკუპანტის მოკავშირე ხომ არ არის, რომელიც ოკუპანტთან შეჯერებული სქემის მიხედვით მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც შემდგომში მათთვის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების სტატუსის მინიჭებას გააადვილებდა.**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის მოვლენებს რომ ვაანალიზებთ მხოლოდ, რატომ არ ვაანალიზებთ იმ მოვლენებს, რაც ამ ომს უძღოდა წინ?

მათში ხომ შესანიშნავად ჩანს ის შემაძრწუნებელი პერსპექტივა, რაც ახლო მომავალში გველოდა?

მახსოვს, იმავე ადამიანებმა, რომლებიც დღეს სააკაშვილის პო-



ლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მუშაობენ ღიად თუ მალულად, აგვისტოს ომის შემდეგ ომის შედეგების და სააკაშვილის ბრალეულობის მორატორიუმი გამოაცხადეს, რითაც, ფაქტობრივად, იხსნეს სააკაშვილი ქართველი ხალხის რისხვისგან.

ისინი ახლაც იგივეს აკეთებენ და თავიანთ ულირს საქციელს პატრიოტული მოტივებით და ქვეყნის იმიჯზე ზრუნვით ხსნიან.

არადა, ქვეყნის იმიჯი ყველაზე მეტად მაშინ ილახება, როცა ისეთ მმართველს ითმენს, როგორიც სააკაშვილი იყო.

თუმცა რატომ "იყო"? სააკაშვილი ისევ არის და, როგორც თვითონ აცხადებს, არსადაც არ აპირებს წასვლას.

* * *

**შიზოფრენია ვახსენეთ ზემოთ...**

**ადამიანების ნერვული სისტემა, ადამიანების ფსიქიკა დიდხანს ვერ გაუძლებს იმ ცინიზმით და უტიფრობით გაზავებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, იმ ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელსაც "ნაციონალები" ახორციელებენ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ.**

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქვეყნისა და ერის წინაშე, რისი დამადასტურებელი ასევე უამრავი ფაქტი არსებობს, თუმცა "ნაციონალები მაინც არ იტეხენ იხტიბარს და ისე ირჯებიან, თითქოს არაფერი დაეშავებინოთ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სამწუხაროდ, ამ აშკარად კრიმინალურ დაჯგუფებას საერთაშორისო არენაზე მძლავრი მოკავშირეები და მფარველები გამოუჩნდნენ, რომლებიც ქართველ ხალხს და ახალ ხელისუფლებას ამ კრიმინალურ დაჯგუფებასთან მშვიდობიანი თანაარსებობისკენ მოუწოდებენ.

ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა ეს, უდიდესი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდებაა.

რამდენ ხანს შეიძლება ეს ყველაფერი ითმინონ ადამიანებმა და როდის დგება ის კრიტიკული ზღვარი, როცა დიდხანს ნათმენი რისხვა ერთბაშად ამოხეთქავს უკონტროლო, ყოვლის წამლეკავ ენერგიად?

"ნაციონალები" ძველებურად აქტიურობენ – გამუდმებით ჩანან მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების ეკრანებზე, პრესის ფურცლებზე, საპარლამენტო ტრიბუნაზე, საერთაშორისო არენაზე, რითაც ქმნიან ილუზიას, რომ კვლავ ისინი აკონტროლებენ სიტუაციას და არა "ქართული ოცნება", რომელიც კოაბიტაციის ვალდებულებით შებოჭილი, მკვეთრი მოძრაობების გაკეთებას ერიდება ქვეყნის მტრად და მაოხრებლად მოვლენილი "ნაცმოძრაობის" ასალაგმავად, რაც საზოგადოების თვალში "ქართული ოცნების" სისუსტედ და უძლურებად ალიქმება.

"ნაციონალებმა" იციან, რომ მათთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობა, მათთან კოაბიტაციონობის თამაში "ქართული ოცნების" მხრიდან "ქართული ოცნების" დისკრედიტაციის და მისთვის სახელის გატეხვის უებარი საშუალებაა.

საზოგადოებაში, აკი, გაჩნდა ეჭვი, რომ "ქართული ოცნება" გარიგებულია "ნაციონალებთან".

**ეს ეჭვი, რაც დრო გავა, მით უფრო გაძლიერდება და შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ჯერჯერობით მხოლოდ "ნაციონალების" წინააღმდეგ არსებული პროტესტი „ქართული ოცნების" წინააღმდეგ პროტესტშიც გადაიზარდოს, ანუ საზოგადოებამ ეს ორი ძალა ერთმანეთთან გააიგივოს.**

მედმივი ხახუნის და ბღლარძუნის რეჟიმში ყოფნა, ნებსით თუ უნებლიეთ, მეტოქეს გაახლოებს და გაყვარებს კიდეც.

მით უმეტეს, თუ ეს მეტოქე სისხლსა და ტალახშია ამოთხვრილი, ამ ხახუნ-ბღლარძუნის დროს შენც ისვრები და მას ემსგავსები.

ძალიან კარგად იციან ეს ყველაფერი მათ, ვინც კოაბიტაციის თემა შემოგვიგდო და მტყუანიც და მართალიც ერთ ნაღმზე შეგვსვა.

* * *

ამ წერილში რამდენჯერმე ვახსენეთ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი.

ქართველი ხალხი – ბიძინა ივანიშვილთან ერთად 1 ოქტომბრის მთავარი გმირი, რომელიც ამ უსასტიკესი ცხრა წლის განმავლობაში ძალმომრეობას და ტირანიას არ შეუშინდა და ბოლომდე იბრძოლა გამარჯვებისთვის.

ის ახლა ამ გამარჯვებას არ დათმობს და სტატისტისა და მოვლენათა შორიდან მაყურებლის როლსაც დიდხანს ვერ იგუებს.

**საერთაშორისო თანამეგობრობის აზრსაც პატივი უნდა ვცეთ და რაც გასაზიარებელია, უნდა გავიზიაროთ, მაგრამ, პირველ რიგში, პატივი უნდა ვცეთ ქართველ ხალხს, პირველ რიგში, მის ღირსებას უნდა გავუფრთხილდეთ და მის ხმას უნდა მივუგდოთ ყური.**

**ბოლოდროინდელმა პროცესებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ მოცემულ სიტუაციაში ქართველ ხალხს სხვა მოკავშირე, გარდა ბიძინა ივანიშვილისა, არ ჰყავს, ისე როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს სხვა მოკავშირე, გარდა ქართველი ხალხისა.**

ისინი ბედისწერით არიან შეკრულნი და მათი ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედებაა საჭირო.

აი, ამის აღქმა, ამის გაგება და გაცნობიერება არის ის, რითაც ნებისმიერი პრობლემა, ნებისმიერი დაბრკოლება ადვილად დაიძლევა...

# saxi faTo TamaSi, saxe l ad koabi tacia

## სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის დატოვება, ეს იგივეა დაუტოვო ბომბი ტერორისტს, რომელმაც ეს-ესაა რომელიღაც ობიექტი ააფეთქა და ახლა მეორეს აფეთქებას აპირებს

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა – ოქტომბრის ბოლომდე მიხეილ სააკაშვილის დატოვება პრეზიდენტის პოსტზე საქართველოს დიდ საფრთხეს უქადის.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს ორი ვადით ირჩევენ. მიხეილ სააკაშვილის „კონსტიტუციის“ მიხედვით, სამი ვადით.

სწორედ მესამე ვადაა ის პერიოდი, რომელიც 2013 წლის 5 იანვრიდან ოქტომბრამდე უნდა დაჰყოს სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტზე, რაც, რა თქმა უნდა, გაუგონარი ძალადობა და თვითნებობაა, თუმცა არა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ სააკაშვილს პოსტი მაინცდამაინც შემოდგომამდე უნდა შეუნარჩუნდეს.

ძნელი სათქმელია, რა მოტივით ითხოვს და რა დაინტერესება აქვს საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ისეთი სახელგატეხილი და მრავალ ცოდვაში ეჭვმიტანილი პოლიტიკური ფიგურა შეინარჩუნოს, როგორიც სააკაშვილია, თუმცა ის კი ადვილი გამოსაცნობია, რატომ ებღაუჭება სააკაშვილი ასე თავგამოდებით ამ ათ თვეს?

რატომ ებღაუჭება და, გამალებული ემზადება რევანშისთვის, თუმცა ამის განხორციელება თითქმის შეუძლებელი იქნება მისთვის, თუ არ ექნება ძალაუფლების სერიოზული ბერკეტები.

პრეზიდენტის პოსტი ნამდვილად არის ის თანამდებობა, რომელიც საშუალებას იძლევა ზემოქმედება მოახდინო და აკონტროლო პროცესები, ორგანიზება გაუწიო მხარდამჭერთა მობილიზებას, შეინარჩუნო გავლენები საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე ოპოზიციონერის პოზიციიდან! დაუპირისპირდე ახალ ხელისუფლებას, და, რაც მთავარია, პრეზიდენტის პოსტი ეს არის შეუზღუდავი ტრიბუნა, საიდანაც შეგიძლია ნებისმიერ დროს მიმართო როგორც საკუთარ მოსახლეობას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას, ისარგებლო პრეზიდენტის სტატუსით და აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებზე, შეხვედრებზე, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და ა.შ.

მიხეილ სააკაშვილი უკვე სარგებლობს ამ პრიორიტეტებით და როგორც შინ, ასევე გარეთ აქტიურად ეწევა ახალი ხელისუფლების და მისი ლიდერის დისკრედიტაციას.

თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებსა და განცხადებებში სააკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს წარმოაჩენს, როგორც დიქტატორული მიდრეკილებების მქონე მმართველს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს წინა ხელისუფლების წევრთა დევნას პოლიტიკური ნიშნით, ქვეყანას აბრუნებს უკან, წარსულში. ცდილობს შეცვალოს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ალტერნატივა, ფარულად თამაშობს რუსულ თამაშს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებით დაბოღმილი და შურისძიებით შეპყრობილი სააკაშვილი უკვე ვეღარ აკონტროლებს საკუთარ თავს და ვერ გრძნობს, რომ ის იმ ქვეყნის გაცხადებულ მტრად იქცა, რომლის პრეზიდენტიც ჯერჯერობით თავად არის.**





ის ვერ ხვდება, რომ არ შეიძლება ერთდროულად იყო პრეზიდენტიც და ოპოზიციის ლიდერიც, რადგან ეს პოლიტიკური შეფერილობის შავ იუმორს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული პოლიტიკის სფეროს.

თუ სააკაშვილი ნამდვილად ოპოზიციონერია, მაშინ ის, არა მარტო ივანიშვილის, არამედ, პრეზიდენტ სააკაშვილის ოპოზიციაშიც უნდა იყოს, რომელმაც პრემიერ-მინისტრად ივანიშვილი წარადგინა და გადააბარა მას საკუთარი უფლება-მოვალეობანი, საშუალება მისცა დაეკომპლექტებინა მთავრობა.

აბსურდის თეატრს ჰგავს ეს ყველაფერი, სადაც რეალური და ირეალური ერთმანეთშია არეული და ყველაფერი პირობითი და ბუტაფორულია.

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს ეფექტური მართვა ძალზე ძნელი და ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სააკაშვილი ზუსტად ამ სიტუაციის შექმნას ცდილობს – ალოგიკური, აბსურდული, უაზრო, უსისტემო, ამორფული, ქაოსური სიტუაციის შექმნას, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაღიზიანდეს ამ ქაოსით და წესრიგის და კანონიერების აღდგენა მოითხოვოს.

**სააკაშვილის გამოსვლებს ყურადღებით რომ დააკვირდე, იქ აშკარად იკითხება არსებული ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდება. მართალია, მას ავიწყდება, რომ, უნდა ეს მას თუ არა, თვითონაც შედის ამ ხელისუფლებაში და პასუხისმგებლობა მასაც აკისრია, მაგრამ ის ამ გარემოებას არაფრად აგდებს და ჩვეული რიხით და პათეტიკით აგრძელებს ანტისახელმწიფოებრივი, დესტრუქციული ხასიათის განცხადებების კეთებას, რომლებშიც ზოგჯერ სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ელემენტებიც ჩანს.**

ასე, მაგალითად, როცა სააკაშვილი პოლიციას მოუწოდებს არ დაემორჩილოს ბრძანებებს, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, პოლიცია მართლაც რომ აჰყვეს მის მოწოდებას.

– ლეონიდ კრავჩუკმა მითხრა, სიბერე არ გამიმწარო, მალე დაბრუნდი ხელისუფლებაშიო, – ამბობს სააკაშვილი და იქვე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მიანიშნებს, რომ მზად არის თხოვნა შეუსრულოს უკრაინის კომპარტიის თავკაცს და დარდი საფლავში არ ჩააყოლოს.

სააკაშვილი ხელისუფლებაში სასწრაფოდ დაბრუნებაზე სხვა დროსაც ბევრს ლაპარაკობს, ხოლო მისი გუნდის წევრები ზოგჯერ დაბრუნების ვადებსაც კი ასახელებენ – ეს არის აპრილის თვე, ანუ ექვსი თვის თავი ოქტომბრის არჩევნებიდან, როცა პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციის მიხედ-

➤



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვით უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს.

— რაღა ექვსი თვე ვიცადოთ, ახლავე, სამი თვის თავზე გაძლევთ იმის საშუალებას, რომ პარლამენტი დაითხოვოთ და ახალი არჩევნები დანიშნოთ — წინადადებას იძლევა პრემიერი ივანიშვილი, თუმცა ამ მაცდურ წინადადებაზე სააკაშვილი ჯერ-ჯერობით არ რეაგირებს.

მიხეილმა იცის, რომ ახალი არჩევნები ნაციონალური მოძრაობისთვის კატასტროფით დამთავრდება და მათ, შეიძლება, საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახონ.

მაშ, როგორ აპირებს ბატონი სააკაშვილი უახლოეს ხანებში ხელისუფლებაში დაბრუნებას და მოხუცი კრავჩუკის გულის გახარებას?

როგორ და, როგორც ზემოთ ვთქვით, ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის, პროვოცირების გზით, რომლის პარალელურად აქტიურად გაგრძელდება ახალი ხელისუფლების, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის კამპანია საერთაშორისო არენაზე, მისთვის დიქტატორის იარლიყის მიკერება, დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფის ბრალდება, ქვეყნის განვითარების დასავლური კურსისადმი ღალატი, ადამიანების დევნა პოლიტიკური ნიშნით. აი, არასრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომლებსაც ადრე თუ ახლა მოქრთამული უცხოური პრესის, ე.წ. ლობისტური კომპანიების მეშვეობით უკვე აჟღერებს სააკაშვილი სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნებიდან.

მას იმედი აქვს, რომ მის ამ დემაგოგიურ, ცილისმწამებლურ რიტორიკას ბევრი უცხოელი პოლიტიკოსი, ბევრი ავტორიტეტული ორგანიზაცია ირწმუნებს — ის ხომ წლების განმავლობაში დემოკრატიის შუქურა იყო მათთვის და, აი, მოვიდა ბნელი ძალა, რომელიც ამ შუქურის „ჩაქრობას“ ცდილობს.

აქედან ერთი ნაბიჯია იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობა ვალდებულია საქართველოშიც ხელყოფისგან დაიცვას წმინდათაწმინდა ფასეულობა — დემოკრატია. ვერ გავიზიარებ იმ გულარხეინ, ზედმეტად თავდაჯერებულ მოსაზრებას, რომ სააკაშვილს, რომელსაც ძალზე დაბალი რეიტინგი აქვს, არანაირი რესურსი არ გააჩნია რევანშის განსახორციელებლად.

ეს მცდარი და სახიფათო აზრია, რომელმაც, შეიძლება, ხელისუფლებისა და საზოგადოების სიფხიზლე მოადუნოს, რაც სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს საქმეს გაუადვილებს.

საქმე ის არის, რომ მოსახელობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა სულაც არ არის საჭირო არეულობის და დაპირისპირების პროვოცირებისთვის.

ამისთვის სრულიად საკმარისია, ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, კარგად გაწვრთნილი, კარგად ორგანიზებული და მოტივირებული ჯგუფი.

ამის რესურსი კი ქვეყანაში, სადაც ყოველი მეოთხე ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ყოველი მეათე თუ არა ყოველი მეთხუთმეტე მაინც ნარკომანია, ქვეყანაში, სადაც საკმაოდ მაღალია კრიმინალური მაჩვენებელი, და, რაც უმთავრესია, ქვეყანაში, რომელსაც ორი სეპარატისტული რეჟიმი აკრავს გარშემო, ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის ერთ ნაწილში აგრესიულად განწყობილი უცხო ქვეყნის ჯარი დგას, ქვეყანაში, სადაც ოცი წელია ომია მცირედი პაუზებით, რის გამოც მოსახლეობაში საკმაოდ დიდძალი იარაღია დაგროვილი, ადამიანთა იმ კონტინგენტის გამოძებნა, რომელიც ყველაფერზე წავა, სულაც არ არის რთული საქმე.

**„ქართული ოცნების“ მესვეურებო! თქვენ რეიტინგებს კი ნუ უყურებთ, მხოლოდ თქვენი მხარდამჭერების მრავალრიცხოვნობით კი ნუ შეაფასებთ ძალთა ბალანსს, მოსალოდნელი საფრთხეები გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ.**

უსიამოვნო პარალელია, მაგრამ მაინც უნდა გავავლოთ გასული საუკუნის 90-იან წლებსა და დღეს შექმნილ მდგომარეობას შორის, რადგან ძალიან ჰგავს დროით დაშორებული ეს ორი ისტორიული მომენტი ერთმანეთს.

ჰგავს იმითაც კი თუ როგორ იოლად დათმო ძალაუფლება მაშინდელმა კომუნისტურმა პარტიამ და დღევანდელმა მიშისტურმა პარტიამ — ნაცმოძრაობამ.

**მოსახლეობის 86 პროცენტი უჭერდა მხარს ზვიად გამსა-**



**ხურდიას, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, რადგან როცა ერთ მხარეს დგება ავტომატმომარჯვებული ორი ავაზაკი, მეორე მხარეს კი თუნდაც ორი ათასი უიარაღო კაცი, უპირატესობა იმ ორი ავაზაკის მხარესაა.**

მახსოვს, როგორ დაშალა ათმა ავტომატიანმა „მხედრიონელმა“ ორასიათასკაციანი მიტინგი ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

იგივე მოხდა „დელისთან“, „დიდუბესთან“, სხვაგან და სხვაგან.

**ნაციონალურმა მოძრაობამ შესანიშნავად იცის, როგორ კეთდება ეს, რადგან ნაციონალური მოძრაობა**



**თვითონ იყო და არის მოდერნიზებული „მხედრიონი“, რომელმაც ამ ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის დაწიოკების, დარბევის, დაშინების, „დაჩმორების“ უზარმაზარი გამოცდილება შეიძინა.**

მას ასევე აქვს ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდების გამოცდილებაც, რის დასტურადაც ე.წ. „ვარდების რევოლუციაც“ იკმარებს, რომელიც სულაც არ გახლდათ ვარდების და ყვავილების რევოლუცია...

როგორც ზემოთ ვთქვით, უსიამოვნო პარალელებია ეს, უსიამოვნო ფაქტებია, მაგრამ, ჯობს ამ უსიამოვნო ფაქტებზე ახლა ვილაპარაკოთ, ვიდრე მაშინ, როცა უკვე გვიანი იქნება...

**ნაციონალურ მოძრაობას ჯერ არ აუმოქმედებია თავისი მთავარი იარაღი — ფული, რომელიც მან ძალიან დიდი რაოდენობით დააგროვა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.**

**თუ ეს ფული ამოიყრება საიდუმლო „სკივრებიდან“, მაშინ მისი ამღებიც, ბიძინა ივანიშვილისთვის ჩაუშესკუ-ჩაუშესკუს დამძახებელიც ბევრი გამოჩნდება, როგორც ეს გამსახურდიას დროს მოხდა.**

ჩაუშესკუს დაძახებიდან ერთი ნაბიჯია ჩაუშესკუს დამხობის მოწოდებამდე, რასაც, შეიძლება, პირდაპირ თუ ირიბად მხარი საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ბევრმა იმ წარმომადგენელმაც დაუჭიროს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი თავისი ხაზგასმული ეროვნული პოზიციის გამო მაინცადამაინც დიდად არ მოსდის თვალში და ბოლომდე არ ენდობა.

მოკლედ, მიზეზი და მოტივი, თუ მოიდომეს, შინ და გარეთ, ბევრი მოიძებნება...

ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც ახლა ნაცმოძრაობა და მისი ლიდერი აკეთებს, არის კარგად გათვლილი და აწონილ-დაწონილი მოსამზადებელი ეტაპი დიდი შეტევის წინ, რომლის განხორციელებას ნაცმოძრაობა ოქტომბრის არჩევნებზე კი არა, არჩევნებამდე გაცილებით ადრე აპირებს.

ნაცმოძრაობამ ძალიან კარგად იცის, რომ ის ვერც თვითმმართველობის, ვერც საპარლამენტო და ვერც საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევს, ამიტომ არჩევნებისთვის კი არ ემზადება, არამედ ემზადება ექსტრემალური, კრიზისული პოლიტიკური სიტუაციის შესაქმნელად, რაც მას შანსს მისცემს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

**სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის დატოვება, ეს იგივეა დაუტოვო ბომბი ტერორისტს, რომელმაც ესესაა რომელიღაც ობიექტი ააფეთქა და ახლა მეორის აფეთქებას აპირებს.**

არა გვგონია, ეფექტური აღმოჩნდეს ის კონსტიტუციური ცვლილებები, რომლითაც ახალი ხელისუფლება სააკაშვილის „შებოჭვას“ ცდილობს.

თუ ასე ადვილად და იოლად შეუძლია ამჟამინდელ საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მაშინ ჯობდა ის სამართლებრივი ლაფსუსი გაესწორებინა, რომლის გამოც ქვეყანა ორხელისუფლებიანობის ზღვარზე დგას.

ლაფსუსია, აბა, სხვა რა არის, როცა არსებული კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევენ, მაგრამ იმავე კონსტიტუციით მას შეუძლია მთელი ათი თვე დაიმატოს.

რა არის ეს, თუ არა ელემენტარული თაღლითობა, ელემენტარული აფიორა?

**სააკაშვილია თუ სტეპკა რაზინი, საკუთარი ხელით რომ იდგამს „სამეფო“ გვირგვინს?!**

* * *

ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად წარიმართოს და ოქტომბრამდე მშვიდობიანად მივაღწიოთ, თუმცა ძნელია ამის დაჯერება, როცა ზურგზე ბომბი გკიდია და ღილაკზე ისეთ არაორდინალურ პერსონას უდევს ხელი, როგორიც ბატონი სააკაშვილია.

**გაუგებარია, ბომბის მოშორებას და განეიტრალებას ბომბთან კოაბიტაცია რატომ ვარჩიეთ?**

რამდენად უხიფათო იქნება ეს არჩევანი, დრო გვაჩვენებს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** **წერილი უკვე დაწერილი იყო, როცა გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზუგდიდში გადადის, რაც კიდევ ერთი დასტურია ამ წერილში გამოთქმული ვარაუდისა, რომ სააკაშვილი დესტაბილიზაციის პროვოცირებას და წყლის ამღვრევას აპირებს, ამის განსახორციელებლად კი ყველზე ეფექტურ ადგილად, ჩანს, სამეგრელოს მიიჩნევს.**

**— რატომ მაინცდამაინც სამეგრელო? — ისმის კითხვა.**

**ჩვენი აზრით, არა იმიტომ, რომ სააკაშვილს ჰგონია, სამეგრელოში ყველზე მეტი მხარდამჭერი მყავსო, არამედ უფრო იმიტომ, რომ სამეგრელო ფრონტისპირა რეგიონია და პროვოკაციების პროვოცირება აქ უფრო ადვილია.**

**როგორც გახსოვთ, სწორედ აქ, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვართან „ნაცმოძრაობას“ პროვოკაციების მოწყობის და დადგმის დიდი გამოცდილება აქვს.**

**რაც შეეხება იმ ამბავს, თითქოსდა ნაცმოძრაობას სამეგრელოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და ამიტომ მიაღწია წარმატებებს არჩევნებში, ეს სრული დეზინფორმაციაა.**

**სამეგრელოს რეგიონში „ქართული ოცნების“ მარცხის მიზეზი სულ სხვა რამ იყო და ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს ვილაპარაკებთ.**

**სამეგრელოს მოსახელეობამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში იმდენი უბედურება გადაიტანა და იმდენად დიდი გამოცდილება დააგროვა, მერწმუნეთ, ის არავის მისცემს უფლებას, ეს მრავალტანჯული კუთხე ვიღაცვიღაცების ავადმყოფური პოლიტიკური ამბიციების ასპარეზად აქციოს.**

**ვ.ხ.**

# დემოკრატიული განვითარების ქართული გაკვეთილები

**მაიკლ ჩეჩირე**

საქართველოს დემოკრატია ჯერ ბოლომდე შეფასებული არ არის. შარშან ოქტომბერში ჩატარებული შთამბეჭდავი არჩევნების მიუხედავად, რომლითაც ხელისუფლებაში მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება“ მო-



ვიდა, საბოლოო ჯამში, მაინც გაურკვეველია, ამ ტურბულენტურმა კავკასიურმა რესპუბლიკამ მკაფიოდ გაიკვალა თუ არა გზა დემოკრატიისკენ, თუ ის კვლავ ერთი ძლიერი ლიდერის მეორით ჩანაცვლების პროცესშია. თუმცა, უდავოა, რომ ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი შეცვლით საარჩევნო ურნების გზით, საქართველომ გარდამტეხ წარმატებას მიაღწია თავის პოლიტიკურ განვითარებაში. იმავდროულად, ის გარკვეულ გაკვეთილადაც კი იქცა პოტენციური დემოკრატიებისთვის მსოფლიოში.

ქართული ოპოზიციის მოულოდნელი, ძლიერი გამარჯვება არჩევნებში და ხელისუფლების შედარებით მშვიდი გადაცემის პროცესი, რაც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან მარცხის აღიარებას მოჰყვა, ძალიან კარგი ამბავია ქვეყნისთვის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყო „გარდამავალ პერიოდში“ – პოლიტიკური განვითარების ბუნდოვანების ზონაში. ე.წ. გარდამავალი რეჟიმები ხშირად უიმედოა. ბოლოდროინდელი არჩევნების მიუხედავად, წინასაარჩევნო საქართველო დემოკრატიზაციაში მტკიცე და თვალსაჩინო წინსვლის მხოლოდ მცირე ნიშანწყალს თუ იძლეოდა. ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ იყვნენ დამკვირვებლები დარწმუნებულნი, რომ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დამაჯერებლად გაიმარჯვებდა.

ტიპურ გარდამავალ რეჟიმზე მეტად ქართულ მოდელს, როგორც ჩანს, უფრო სტივ ლევიცკის და ლუკან ვეის განსაზღვრება შეეფერება: „კონკურენტული ავტორიტარიზმი“. ეს არის ის, როდესაც ინსტრუმენტები, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს ლიბერალურ დემოკრატიაში – ოპოზიციური პარტიები, არჩევნები, ზოგჯერ ცხარე დებატებიც კი – მიბმულია ყოვლისმომცველ პოლიტიკურ და უშიშროების აპარატზე, რაც ერთპარტიული მმართველობის გარანტიას უზრუნველყოფს. ასეთი რეჟიმები განსაკუთრებულად კოშმარულია დემოკრატიის დამცველებისა და ოპოზიციებისთვის, რადგან მათი გარჩევა საშუალოდ დემოკრატიული სახელმწიფოებისგან რთულია. მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ მუდმივად „გარდამავალ პერიოდში“ არიან, მაგრამ იმის არანაირი განზრახვით, რომ ოდესმე მაინც გადასცემენ ძალაუფლებას პოლიტიკურ ოპოზიციას.

საქართველოში, მოდერნიზატორული პროგრამების და მტკიცედ პროდასავლური რიტორიკის მიუხედავად, კონკურენტულმა ავტორიტარიზმმა მიიღო ისეთი ფორმა, რომელშიც მთავრობა იყენებდა უზარმაზარ ადმინისტრაციულ რესურსს, ქვეყანაში დომინირებდა პროსამთავრობო მედია და ამომრჩევლების დაშინებასაც კი ჰქონდა ადგილი. ცოტა დამკვირვებელს თუ შეუძლია იმის თქმა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იყო სხვა რამ, თუ არა მძიმე ბრძოლა მილიარდერი ოპონენტის ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. Freedom House-ის მონაცემების თანახმად, საქართველოს 2012 წლის რეიტინგი 2005 წლის შემდეგ უცვლელი იყო, და მხოლოდ ოქტომბრის შოკური შედეგის შემდეგ გაუმჯობესდა. იმავდროულად, Economist Intelligence Unit-ის შეფასებამ აჩვენა დემოკრატიული უკუსვლა 2011 წლის ანგარიშში 2006 წლის ანგარიშთან შედარებით.

თუკი ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ როგორ მიაღწია „ქართულმა ოცნებამ“ გარღვევას?

დემოკრატებს, რომლებსაც თავს ესხმიან სხვა კონკურენტულ ავტორიტარულ სისტემებში, ვერ გაამტყუნებ, თუკი ისინი ვერ დაინახავენ განსაკუთრებულ გაკვეთილებს ცალკეულ სიტუაციაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მხარჯველი მილიარდერი პოლიტიკური მეტოქე და შედარებით ლიბერალი, თუ ანტიდემოკრატიული არა, მთავრობა, რომელსაც დასავლეთი ეტრფის. თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ არჩევნებმა მართლაც შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ავტორიტარული რეჟიმების შესახებ და იმაზე, თუ როგორ უნდა ავუაროთ მათ გვერდი.

ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ ლიდერები უფრო მნიშვნელოვანი. ივანიშვილი, რომლის კაპიტალიც ფორბეს-მა 5.3 მილიარდზე მეტ დოლარად შეაფასა, ძალიან მდიდარია. მაგრამ ისეთი კანონმდებლობის პირობებში, როდესაც კამპანიის დაფინანსება შეზღუდული იყო, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პერიოდულად ბომბავდა ოპონენტს ჯარიმების დაკისრებით, როგორც ჩანს, ივანიშვილის სიმდიდრემ ცოტა რამ თუ განსაზღვრა კამპანიის დროს.

„ივანიშვილს ფულმა არ მისცა არჩევნების ყიდვის შესაძლებლობა“, – აღნიშნავს კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის მკვლევარი ლინკოლნ მიტჩელი. „უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მას ამან კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა მისცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელსაც შეეძლო სამთავრობო რესურსების გამოყენება პარტიული პოლიტიკური მიზნებისთვის“.

არსებობს შეფასების კიდევ ერთი გზა, კერძოდ, ივანიშვილის, როგორც ოპოზიციონერი ლიდერის და დამფინანსებლის შედარებით ხანმოკლე კარიერის შედარება მისი წინამორბედის, აწ უკვე გარდაცვლილი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის კარიერასთან. პატარკაციშვილი, რომელიც გარდაცვალების მომენტისთვის 2008 წელს, დაახლოებით 12 მილიარდ დოლარს ფლობდა, ივანიშვილზე ორჯერ მდიდარი იყო, მაგრამ ვერც კი მიუახლოვდება მის წარმატებას პოლიტიკურ სფეროში. გარდაცვალებამდე პატარკაციშვილი აქტიურად აფინანსებდა ოპოზიციას, რომელსაც სათავეში ედგნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და ლევან გაჩეჩილაძე – უკმაყოფილო გარიყულთა ჯგუფი და შემცირებული ნომენკლატურა, რომლებსაც აკლდათ პოლიტიკური ხედვა, ერთობა და ყველაზე მთავარი, სახალხო მხარდაჭერა.

ამის საპირისპიროდ, როდესაც ივანიშვილმა 2013 წლის ოქტომბერში თქვა, რომ პოლიტიკაში მოდის, მან თავი ქართული ოპოზიციის გამაერთიანებლად წარმოადგინა და მედიის საშუალებით საკუთარ სამიზნედ არა მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, არამედ ძველი ოპოზიციის ზოგიერთი ელემენტიც გამოაცხადა. შემოიკრიბა რა გარშემო დასავლური, პოლიტიკაზე ორიენტირებული ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე, „ქართული ოცნება“ შეეცადა ოპოზიცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცე მმართველ ალტერნატივად გარდაექმნა. სწორედ ამ დამაჯერებლობის განცდამ შეუწყო ხელი საბოლოო ჯამში ოპოზიციის გაერთიანებას და ელექტორატის მობილიზებას, რომელსაც ცვლილებები სწყუროდა. მაშინ, როდესაც ივანიშვილის სიმდიდრემ, რა თქმა უნდა, წამყვანი როლი ითამაშა, აქცენტი ერთობაზე გაკეთდა ხელმძღვანელობის გზით, რამაც თავი მოუყარა განსხვავებულ ინტერესებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს გამარჯვების პერსპექტივის მქონე ელექტორალურ ბლოკში.

მნიშვნელოვანია გზავნილებიც. თუკი კამპანიას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი მოკავშირეების მხრიდან რეფრენად გასდევდა „რუსეთი, რუსეთი, რუსეთი“, „ქართული ოცნების“ პასუხი იყო „სამუშაო ადგილები, სამუშაო ადგილები, სამუშაო ადგილები“. იმ დროს, როდესაც „ენმ“ ცდილობდა არჩევნების წარმოდგენას, როგორც შეჯიბრს მოსკოვის მიერ მხარდაჭერილ მარიონეტსა და პროდასავლელ ჩინოვნიკებს შორის, „ქართულმა ოცნებამ“ არ დაუშვა ჩათრეული ყოფილიყო ამ დიდწილად დაუსაბუთებელი ბრალდებების უარყოფის მორევში. განსხვავებით ოპოზიციის წარსული ლოზუნგებისგან, „ქართული ოცნების“ კამპანია ორიენტირებული იყო შედარებით მკაფიო გზავნილებზე ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფო დაუსჯელობისგან გათავისუფლების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დასაქმების შესახებ.

იმავდროულად, ივანიშვილის კრემლთან კავშირებზე ბრალდებებმა რეალურად ვერ იმუშავა. მართალია, მან ქონება რუსეთში დააგროვა (საკმაოდ დამახასიათებელი რამ ბევრი მდიდარი ქართველისთვის, რომელთა რიცხვშიც შედის სააკაშვილის რამდენიმე მდიდარი მოკავშირე), თუმცა ივანიშვილის ბიოგრაფია მკვეთრად გამორჩეულია იმ სხვა მაგნატების ისტორიებისგან, რომლებიც ელცინის თავქარიან 1990-იან წლებში გამდიდრდნენ. მაგრამ, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ელექტორატის მოტივაციის საგანს არა ივანიშვილის რუსეთთან ურთიერთობა, არამედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საშინაო მარცხი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია ინფრასტრუქტურის და ინსტიტუტების მოდერნიზებაში, ასევე წვრილი შეიტანა კორუფციის აღმოფხვრაში, ახალი საქართველოს ამ სიკეთეებით დიდწილად მცირერიცხოვანი ელიტა სარგებლობდა, რომელიც დილით საშინაო პოლიტიკაში ჩაურევლობას ქადაგებდა, შუადღისას კი უცხოურ დახმარებას ლობირებდა.



„ქართულმა ოცნებამ“ ასევე უზრუნველყო ის, რომ ამ ისტორიის მისეულ ვერსიას მიეღწია საერთაშორისო აუდიტორიამდე. განსხვავებით ძველი ოპოზიციის არარეგულარული კამპანიისგან საერთაშორისო მედიაში, „ქართული ოცნება“ სისტემატიურად ავრცელებდა განცხადებებს, პოლიტიკურ გეგმებს და კომენტარებს კარგი ინგლისურით, იმ მიზნით, რომ უცხოეთში მოვლენების მისეულ ვერსიასაც გაიგებდნენ. მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო დაექირავებინა საკუთარი ლობისტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კამპანიაზე საპასუხოდ და საკუთარი გზავნილის გარეთ გასატანად, მაგრამ მისი მხრიდან უფრო იაფი პლატფორმების განვითარებამ, როგორებიცაა ბლოგები და სოციალური მედია, განსაკუთრებით შთამბეჭდავად იმუშავა.

საერთაშორისო ყურადღება მნიშვნელოვანია. რჩევნების მიმართ საერთაშორისო ყურადღების მოპყრობის შესაძლებლობამ მთავარი როლი ითამაშა ქვეყნის ცვლილებაში. ვიდრე, „ქართული ოცნების“ შესაძლებლობამ გაევრცელებინა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივის საწინააღმდეგო გზავნილი, რაც ქმნიდა ერთგვარ ბალანსს და აუცილებლად საჭირო კონტექსტს საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, საერთაშორისო ჩართულობა პირდაპირი კონტაქტის ფორმით და საარჩევნო დამკვირვებლების მისიები გადამწყვეტი აღმოჩნდა მშვიდი და შედარებით სუფთა არჩევნების უზრუნველსაყოფად.

მართალია, ბევრ ქვეყანას ვერ ექნება ისეთივე დონის საერთაშორისო ყურადღების იმედი, როგორიც საქართველომ მიიქცია, თუმცა ინტერნეტის მზარდი ძალა და ინგლისურის, როგორც გლობალური ენის გავრცელება, საერთაშორისო ყურადღებას სულ უფრო და უფრო იაფ პროდუქტად აქცევს. იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენტული ავტორიტარული სახელმწიფოები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან კონტროლისთვის, რასაც ვერ ვიტყვით კლასიკურ ავტოკრატიულ რეჟიმებზე, საერთაშორისო სიფხიზლეს და ზეწოლას შეუძლია ხელი შეუწყოს ბალანსის მიღწევას თუ არა, გარკვეული ხარისხის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას მაინც.

ფიქტიური სახალხო წარმომადგენლობითობა და ელექტორალური პლურალიზმი კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმების სასიცოცხლო ბაზისია. პოტიომკინის არჩევნებიდან საპარლამენტო სპექტაკლებამდე, კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები ყვავიან შედარებითი ღიაობის ნარატივზე, რითაც მათ გახსნილი აქვთ გზა დასავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შენარჩუნების ბერკეტებზე ძალიან მტკიცედ არიან ჩაბღაუჭებულები – ორივე სამყაროზე უკეთ. თუმცა ასეთი ბუნდოვანი რეგიონების მერყეობა ავტოკრატიას და დემოკრატიას შორის, ასეთ რეჟიმებს გამორჩეულად მიდრეკილს ხდის დანგრევისკენ.

ასეთი რეჟიმები ძალიან ზღუდავენ სივრცეს ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის (დევნითა და აღურიცხავი დაკავებებით), თუმცა სწორედ ასეთმა ფონმა შეიძლება იმავდროულად შექმნას საკმარისი სივრცე ოპოზიციის გაერთიანებისა და მმართველი პარტიის მახეში შეტყუებისთვის. საქართველოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეცდომით წამოეგო თავისსავე პოპულარობის მითს და დაიჯერა, რომ მის პოზიციას არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ, არჩევნებამდე სულ რაღაც რამდენიმე კვირით ადრე, ციხეებში ძალადობის შესახებ დაწყებულმა სკანდალმა, აბსოლუტურად სხვა სურათი აჩვენა: მოვლენებმა შეუქცევადი სახე მიიღო, „ქართული ოცნების“ აქციები გაიზარდა, და გამოჩნდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმაზე ბევრად ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე მისი მხარდამჭერები ფიქრობდნენ.

საქართველოს მსგავსად, ოპოზიციურ მოძრაობებს თავიანთ კონკურენტულ ავტოკრატიებში რეჟიმების ფიქტიური ღიაობა შეუძლიათ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ოპოზიციებს შეუძლიათ თავი შეაფარონ იმ ინსტიტუციონალურ სივრცეებს, რომელიც პლურალიზმის ნიშნად არსებობს, საიდანაც მათ შეუძლიათ არჩევნები დე ფაქტო ერთი მოთამაშის ღონისძიებიდან რეალურად კონკურენტულ შეჯიბრად აქციონ.

მართალია, ჯერ ადრეა მას დემოკრატია უწოდო, თუმცა საქართველომ ყველა შემთხვევაში გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მის პოლიტიკურ განვითარებაში შეიძლება წყალგამყოფად იქცეს. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ წარმატება შესასწავლია, და მას ძნელად თუ ვუწოდებთ ფორმულას; და მიუხედავად ოპოზიციის უნარისა გადალახოს დაბრკოლებები და გაიმარჯვოს, საქართველოს პოლიტიკური განვითარების ბედი ცხადი ჯერ არ არის.

დემოკრატიას ნამდვილად აქვს შანსი საქართველოში. მაშინ, როდესაც ბევრი ოპოზიციური ძალისთვის მხოლოდ შანსია ის, რისი იმედიც შეიძლება მათ ჰქონდეთ თავიანთ კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმებში.

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ საქმიანობის 2012 წლის პროგრამული ანგარიში

2012 წლის განმავლობაში საქველმოქმედო ფონდ "ქართუს" შემოსავლის სახით მიღებული აქვს 97 520 200 ლარი.
მიღებული სახსრებიდან ფონდმა აღნიშნულ პერიოდში გახარჯა 97 189 770 ლარი შემდეგნაირად:

| № | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| | კულტურა (ხელოვნება) | |
| 1 | ხელოვნების დამსახურებული მუშაკები (სოციალური დახმარება) | 3 713 300,00 |
| 2 | შოთა რუსთაველის სახ. თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 519 450,00 |
| 3 | კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 551 280,00 |
| 4 | მ. თუმანიშვილის სახ. თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 150 240,00 |
| 5 | ალ. გრიბოედოვის სახ. თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 563 160,00 |
| 6 | ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 307 740,00 |
| 7 | ვ. ჭაბუკიანის სახ. საბალეტო სასწავლებელი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 435 900,00 |
| 8 | მარიონეტების სახელმწიფო თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 144 360,00 |
| 9 | გ. მიქელაძის სახ. თოჯინების თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 11 640,00 |
| 10 | თითების თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 81 600,00 |
| 11 | ზ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 51 000,00 |
| 12 | თბილისის თეატრალური ცენტრი - თავისუფალი თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 220 200,00 |
| 13 | თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია (პედაგოგების სოციალური დახმარება) | 184 800,00 |
| 14 | ანსამბლი "ქართული ხმები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 487 800,00 |
| 15 | ანსამბლი "თბილისი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 115 200,00 |
| 16 | ანსამბლი "საგასე" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 156 000,00 |
| 17 | ანსამბლი "იმერი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 72 000,00 |
| 18 | ანსამბლი "რუსთავი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 143 000,00 |
| 19 | ანსამბლი "რუსთავი" (მოცეკვავეთა სოციალური დახმარება) | 72 000,00 |
| 20 | ანსამბლი "დიელო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 72 000,00 |
| 21 | ანსამბლი "რერო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 96 000,00 |
| 22 | ანსამბლი "ორერა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 36 000,00 |
| 23 | ანსამბლი "იბერია" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 132 000,00 |
| 24 | ანსამბლი "ქუჩის მუსიკოსები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 67 200,00 |
| 25 | ანსამბლი "ცისფერი ტრიო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 12 000,00 |
| 26 | ანჩისხატის ეკლესია (მგალობელთა გუნდის სოციალური დახმარება) | 60 000,00 |
| 27 | კვარტეტი "ფორთოხალი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 24 000,00 |
| 28 | ანსამბლი "ორთვალა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 63 000,00 |
| 29 | ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 43 840,00 |
| 30 | ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახ. მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 45 600,00 |
| 31 | გორის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 29 952,00 |
| 32 | აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 80 766,00 |
| 33 | საერთ.-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 204 980,00 |
| 34 | ურეკის კულტურის სახლი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 62 400,00 |
| 35 | საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" (პროექტები: ჟურნალ "რუსული კლუბის" გამოცემა, სოჭის მსახიობის თეატრი-სტუდია "ზოლოტოე კრილცო", საახალწლო წარმოდგენა) | 246 766,27 |
| 36 | ააიპ "სტურუა პროდაქშნს" (სპექტაკლი "მარია კალასი", მოსკოვის თეატრის Et cetera-ს გასტროლები) | 515 217,98 |
| 37 | მესხი სესტასი (კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის ოპერების "შუშანიკის წამება" და "ხევისთავა ზედსიერი" სასოტო კლავირების გამოსაცემად) | 8 900,00 |
| 38 | ამირეჯიბი ჭაბუა (რომანის "დათა თუთაშხია" ახალი საიუბილეო გამოცემის დაბეჭდვა) | 26 780,44 |
| 39 | ქვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის მოპირკეთება (ხეში კვეთის სამუშაოები) | 12 500,00 |
| 40 | ააიპ "საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია" (საბავშვო ჟურნალის "დილას" გამოცემა) | 90 000,00 |
| 41 | ააიპ "ჯვრის ამაღლების ტაძრის ფონდი" (ტაძრის კეთილმოწყობა) | 10 000,00 |
| 42 | მაღრაძე დავით (ფლორენციაში წიგნის "ჯაკომო პონტი" პრეზენტაცია) | 21 571,00 |
| | სპორტი | |
| 1 | სპორტსმენები და მწვრთნელები (სოციალური დახმარება) | 3 552 665,00 |
| 2 | საფეხბურთო კლუბი "საჩხერის ჩიხურა" | 2 141 000,00 |
| 3 | წყალბურთის სპორტული კლუბი "იბერია" | 204 115,67 |
| 4 | საქართველოს რაგბის კავშირი | 1 634 992,15 |
| 5 | საჩხერის სარაგბო კლუბი "ჯრუჭი" | 84 500,00 |
| 6 | რაგბის კლუბი "ლელო" | 40 000,00 |
| 7 | რაგბის კლუბი "ყოჩები" | 40 000,00 |
| 8 | საქ. სამბოს ეროვნული ფედერაცია | 150 000,00 |
| 9 | საქ. ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია | 90 000,00 |
| 10 | საქ. მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია | 162 156,80 |
| 11 | საქ. ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია | 106 300,00 |

8 gv.

7 gv.

| | | |
|---|---|---|
| 12 | საქ. სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია | 26 994,00 |
| 13 | საქ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია | 142 783,00 |
| 14 | საქ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია | 184 963,54 |
| 15 | საქ. კრივის ეროვნული ფედერაცია | 59 228,00 |
| 16 | საქ. კიოკუშინკაი კარატედოს ფედერაცია | 74 000,00 |
| 17 | ააიპ "ფეხბურთის განვითარების ფონდი" | 1 100 262,50 |
| | მედიცინა | |
| 1 | ექიმების სოციალური დახმარება (საქველმოქმედო-სამედიცინო საქმიანობა საჩხერის რაიონში) | 269 800,00 |
| 2 | შპს "სადაზღვევო კომპანია ქართუ" (საჩხერის რაიონის მოსახლეობის ნებაყოფლობითი სამედიცინო (პირადი) დაზღვევა) | 5 198 466,20 |
| 3 | კავშირი "დოსტაქარი" (საჩხერის რაიონის მცხოვრებთა უფასო სამედიცინო მომსახურება) | 4 437 750,00 |
| 4 | ფიზიკური პირების მკურნალობის დაფინანსება | 1 991 221,30 |
| | მეცნიერება | |
| 1 | ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (პროექტი - "ბოტანიკური ბაღის განვითარება 2012 წელს") | 953 771,00 |
| 2 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი (პროექტი - "ბოტანიკის ინსტიტუტის მდგრადი განვითარება 2012 წელს") | 389 092,00 |
| 3 | ააიპ "ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (პროექტი - ენციკლოპედიური გამოცემა "100 ქართველი უცხოეთში") | 20 000,00 |
| 4 | ააიპ "სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი" (სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად) | 880 290,65 |
| 5 | ააიპ "დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი" (პროექტი - "საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი") | 86 508,82 |
| 6 | მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები (სოციალური დახმარება) | 823 500,00 |
| 7 | ბათუმის ბოტანიკური ბაღი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 348 600,00 |
| 8 | ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 73 200,00 |
| | განათლება | |
| 1 | წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახ. უნივერსიტეტი (დახმარება) | 240 000,00 |
| 2 | ააიპ "კავკასიის ფრანგული სკოლა" (პროექტი - "კავკასიის ფრანგული სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება") | 976 326,97 |
| 3 | ქამლიშვილი ელენე (ქ. მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის საფასური და ქ. მოსკოვში ცხოვრების ხარჯი) | 27 609,58 |
| 4 | სოფელ საზვის ბაგა-ბაღი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 34 200,00 |
| | სოფლის მეურნეობა | |
| 1 | ააიპ "აგრო" (ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი მცხეთის რაიონში; ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი ნერგების წარმოება) | 769 178,00 |
| 2 | ააიპ "აგრო" (ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის სელექცია-მეთესლეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) | 10 996,16 |
| 3 | ააიპ "აგრო" (საქართველოში ხეხილის პერსპექტიული ჯიშების შემოტანა და გავრცელება პირველადი შეფასების მიზნით) | 119 877,00 |
| 4 | ააიპ "აგრო" (სოც. დაუცველი მოსახლეობისთვის ბოსტნეული კულტურების უსასყიდლოდ გადაცემა) | 51 931,16 |
| | რეგიონალური განვითარება (ასოციაცია "ატუ") | |
| 1 | პროექტი - "ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქცია" (სარეკონსტრუქციო სამუშაოები) | 7 500,00 |
| 2 | პროექტი - "თსუ-ს I-ლი კორპუსის რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 180 000,00 |
| 3 | პროექტი - "ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაცია" (სარემონტო სამუშაოები) | 11 439 500,00 |
| 4 | პროექტი - "საჩხერის სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 3 859 700,00 |
| 5 | პროექტი - "ნატანებში საკონცერტო დარბაზის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 11 094 900,00 |
| 6 | პროექტი - "რაგბის სტადიონების მშენებლობა" (სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 6 044 100,00 |
| 7 | პროექტი - "ეკლესიის მშენებლობა საჩხერე-ზესტაფონის მონაკვეთზე სოფ. ბერითთან" (სამშენებლო სამუშაოები) | 72 500,00 |
| 8 | პროექტი - "საჩხერის რაიონის შიდა გზების რეაბილიტაცია" (საავტომობილო გზის რეაბილიტაცია) | 86 000,00 |
| 9 | პროექტი - "საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. ბათუმში " (სამშენებლო სამუშაოები) | 60 300,00 |
| 10 | პროექტი - "ლიხის საბავშო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, შიდა მოპირკეთება" (კეთილმოწყობის სამუშაოები) | 8 700,00 |
| 11 | პროექტი - "გამოღმა არგვეთის საბავშო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა" (კეთილმოწყობის სამუშაოები) | 34 200,00 |
| 12 | პროექტი - "სოფელ ჭორვილის წყალსადენის ქსელის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 104 000,00 |
| 13 | პროექტი - "საჩხერის რაიონის გაზიფიცირება" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 82 400,00 |
| 14 | პროექტი - "ქ. საჩხერის წყალკანალის ქსელის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 177 400,00 |
| 15 | პროექტი - "ქ. ბათუმის აკვარიუმის პროექტირება" (საპროექტო სამუშაოები) | 930 000,00 |
| 16 | პროექტი - "ქ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია" (ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია) | 28 100,00 |
| 17 | პროექტი - "ქ. საჩხერის ცენტრის რეკონსტრუქცია" (სარეკონსტრუქციო სამუშაოები) | 29 700,00 |
| 18 | პროექტი - "ქონების დაგროვება 2012 წლის საგრანტო პროგრამების შესრულებისა და საქველმოქმედო საქმიანობისათვის" (ქონების დაგროვების მიზნით მანქანა-დანადგარების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შეძენა) | 8 360 700,00 |
| 19 | პროექტი-"ჯანდაცვა და სოციალური რეაბილიტაცია" (საჩხერის რაიონის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური დახმარება) | 2 203 105,00 |
| 20 | პროექტი - "განათლება" (საგანმანათლებლო სისტემის მუშაკთა მატერიალური დახმარება) | 3 633 580,00 |
| 21 | პროექტი - "ეკოლოგია" (სახანძრო რაზმის მუშაკთა მატერიალური დახმარება) | 187 580,00 |
| 22 | პროექტი - "საჩხერის რაიონის კულტურის მუშაკთა დახმარება" (საჩხერის რაიონის კულტურის მუშაკთა მატერიალური დახმარება) | 140 490,00 |
| 23 | პროექტი - "ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია და მშენებლობა" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 360 000,00 |
| 24 | პროექტი - "კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სახლების რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 500 000,00 |

| | | |
|---|---|---|
| | სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება | |
| 1 | მოხუცთა პანსიონატი "სავანე" (ელექტროენერგიის გადასახადი) | 13 513,64 |
| 2 | წმ. ბარბარეს უპატრონო და ობოლ ბავშვთა პანსიონატი (დახმარება) | 240 000,00 |
| 3 | ჯავახეთის ქ. წმიდა ნინოს ობოლ ბავშვთა პანსიონატი (დახმარება) | 240 000,00 |
| 4 | საქართველოს უსინათლოთა კავშირი (ქართულენოვანი კომპიუტერული სინთეზატორის პროგრამის შექმნის საფასური) | 21 710,00 |
| 5 | ააიპ "საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი" (დუშეთის რაიონის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება) | 40 000,00 |
| 6 | ააიპ "ურბნისისა და რუისის ეკლესია მონასტრების აღორძინების კავშირი" (მრავალშვილიანი ოჯახების და მწირ ბერ-მონაზონთა დახმარება სურსათ-სანოვაგით და შესამოსელით.) | 100 000,00 |
| 7 | სოციალურად დაუცველი პირები (სოციალური დახმარება) | 311 345,09 |
| 8 | ზუგდიდის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა (სოციალური დახმარება) | 188 800,00 |
| | სხვადასხვა პროექტი | |
| 1 | ააიპ "ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა" (პროექტი - "გარემოსდაცვითი პრობლემების მონიტორინგი და საზოგადოებრივ-სამართლებრივი რეაგირება") | 240 227,22 |
| 2 | ააიპ "თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაცია" (პროექტი - "საზოგადოებისათვის თავისუფალი პრესის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა") | 1 302 235,00 |
| 3 | კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სახლების სახურავების აღდგენითი სამუშაოები (ფიზიკურ პირებზე გაცემული გრანტი) | 161 317,00 |
| | სხვადასხვა ხარჯი | |
| 1 | ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯი | 187 089,02 |
| 2 | სარეკლამო ბუკლეტები | 1 142 274,47 |
| 3 | დაფარული სესხი | 5 417 378,55 |
| 4 | სესხის % | 290 150,40 |
| 5 | საკურსო სხვაობა | 230 851,48 |
| | | |
| | სულ | 97 189 770,06 |

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“
# 2012 წლის ბალანსი

| აქტივი | | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | (1200) | 010 | 0,00 | 330 429,94 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | (1410) | 020 | 14 875 460,00 | 14 875 460,00 |
| სხვა დებიტორები | (1435) | 030 | 2 052,57 | 2 052,57 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | (1490) | 040 | 144,00 | 0,00 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | (1600) | 050 | 790,00 | 790,00 |
| დარიცხული მოთხოვნები | (1800) | 060 | 25 270 395,38 | 3 019 152,38 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | 070 | 40 148 841,95 | 18 227 884,89 |
| | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| მიწის ნაკვეთები | (2110) | 080 | 607 600,00 | 607 600,00 |
| შენობები | (2130) | 090 | 1 739 508,98 | 1 739 508,98 |
| ოფისის აღჭურვილობა | (2160) | 100 | 2 167,49 | 2 653,19 |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | (2300) | 110 | 3 806 793,71 | 0,00 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | (2400) | 120 | 63 165,07 | 63 165,07 |
| არამატერიალური აქტივები | (2500) | 130 | 356,46 | 302,99 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | 140 | 6 219 591,71 | 2 413 230,23 |
| **სულ აქტივები** | | 150 | 46 368 433,66 | 20 641 115,12 |

| პასივი | | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| მიწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებ. | (3110) | 160 | 152,03 | 421,99 |
| გადასახდელი ხელფასები | (3130) | 170 | 1 221,63 | 1 221,63 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | (3190) | 180 | 25 270 395,38 | 3 019 152,38 |
| მოკლევადიანი სესხები | (3200) | 190 | 5 417 378,55 | 0,00 |
| საგადასახადო ვალდებულებები | (3300) | 200 | -3 033,50 | -2 483,95 |
| გადასახდელი პროცენტები | (3410) | 210 | 16 150,54 | 0,00 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 220 | 30 702 264,63 | 3 018 312,05 |
| | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | (4220) | 230 | 3 806 793,71 | 0,00 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 240 | 3 806 793,71 | 0,00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | (5100) | 250 | 20 000,00 | 20 000,00 |
| რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება | (5400) | 260 | 11 839 375,32 | 17 602 803,07 |
| | | | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 270 | 11 859 375,32 | 17 622 803,07 |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | 280 | 46 368 433,66 | 20 641 115,12 |

# ა(ა)იპ „ასოციაცია ათუ"-ს 2012 წლის საგრანტო ფინანსირების პროგრამული ანგარიში

| | |
|---|---|
| **ფულადი რესურსების საწყისი ნაშთი** | **20 805** |
| **მიღებული დაფინანსება** | **49 624 455** |
| **საგრანტო პროგრამების ფინანსირება** | **49 626 817** |
| მათ შორის: | |
| ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაცია 2011 | 3 000 000 |
| რაგბის სტადიონების მშენებლობა 2011 | 1 745 000 |
| ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეაბილიტაცია 2012 | 8 439 500 |
| ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქცია 2012 | 7 500 |
| თსუ-ს პირველი კორპუსი 2012 | 180 000 |
| რაგბის სტადიონების მშენებლობა 2012 | 4 299 100 |
| საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. ბათუმში | 60 300 |
| ბათუმის აკვარიუმის მშენებლობა 2012 | 930000 |
| ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია 2012 | 28 100 |
| ნატანების საკონცერტო დარბაზის მშენებლობა 2012 | 11 094 900 |
| ქეროვენსის მშენებლობა ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე სოფ. ბორითთან 2012 | 72 500 |
| ჭორვილის წყალკანალის ქსელის მშენებლობა 2012 | 104 000 |
| ქ. საჩხერის წყალკანალის ქსელის მშენებლობა 2012 | 177 400 |
| გამოღმა არგვეთის სკოლის ეზოს კეთილმოწყობა | 34 200 |
| ღვიბის საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, შიდა მოპირკეთება | 8 700 |
| საჩხერის რაიონის გაზიფიცირება | 82 400 |
| საჩხერის რაიონის შიდა გზების რეაბილიტაცია 2012 | 86 000 |
| საჩხერის სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა 2012 | 3 859 700 |
| ქ. საჩხერის ცენტრის რეკონსტრუქცია 2012 | 29 700 |
| ქონების დაგროვება 2012 წლის საგრანტო პროგრამის შესრულებისა და საქველმოქმედო საქმიანობისათვის | 8 363 062 |
| ჯანდაცვა და სოციალური რეაბილიტაცია | 2 203 105 |
| განათლება | 3 633 580 |
| ეკოლოგია | 187 580 |
| საჩხერის რაიონის კულტურის მუშაკთა დახმარება | 140 490 |
| კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სახლების რეაბილიტაცია | 500 000 |
| ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია და მშენებლობა | 360 000 |
| **ფულადი რესურსების საბოლოო ნაშთი** | **18 443** |

## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია ათუ" 2012 წლის საბუღალტრო ბალანსი

| | **საბალანსო მუხლები** | საშთი პერიოდის დასაწყისში 01.01.12 | საშთი პერიოდის ბოლოს 01.01.13 |
|---|---|---|---|
| | **აქტივი** | | |
| | ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 21 | 18 |
| | დებიტორები და მოკლევადიანი მოთხოვნები | 19 537 | 17 366 |
| | მატერიალური მარაგები | 329 055 | 366 798 |
| | გრძელვადიანი აქტივები | 30 007 | 27 176 |
| | გრძელვადიანი ინვესტიციები | 25 353 | 25 663 |
| | **სულ აქტივები** | **403 973** | **437 021** |
| | **პასივი** | | |
| | მოკლევადიანი ვალდებულებები | 5 | 8 205 |
| | მუდმივად შეზღუდული ფონდი | 403 967 | 428 816 |
| | სულ ფონდები და ვალდებულებები | 403 973 | 428 816 |
| | **სულ პასივი** | **403 973** | **437 021** |
| | | | |
| | | | |

# საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი ბალანსი 2012 წელი

| აქტივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| ნაღდი ფული სალაროში | 30---- (1100) | 10 | 146,96 | 143,76 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | ------- (1200) | 20 | 337255,92 | 487016,58 |
| გაცემული სესხი | ---------------------------- (3340) | 71 | 21348,91 | 21348,91 |
| მომწოდებლებისათვის გაცემული ავანსები | ------- (1480) | 80 | 4649,86 | 4110,86 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | ------- (1490) | 90 | 107521,70 | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | *470923,35* | *512620,11* |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | | | | |
| **სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | | 180 | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა | ------------ (2160) | 230 | 3154,93 | 2057,18 |
| სატრანსპორტო საშუალებები | ------------ (2180) | 240 | 5486,42 | 4389,14 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | -------------------- | 250 | 596,01 | 475,69 |
| არამატერიალური აქტივები | ------------ (2500) | 290 | 54,99 | 46,74 |
| | | 300 | *9292,35* | *6968,75* |
| | | 310 | *480215,70* | *519588,86* |

| პ ა ს ი ვ ი | | კოდი (სტრ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| მიმდინარე ვალდებულებები | | | | |
| მომწოდებლებთან და მომსახურებასთან წარმოქმნილი ვალდებულებ-- | (3110) | 310 | 219395,20 | 183257,00 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | ----------------------- (3390) | 410 | 261,23 | 261,23 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | ----------------------- (3190) | 440 | 259,00 | 0,00 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 450 | *219915,43* | *183518,23* |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 500 | | |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება | ------------ (5490) | 530 | 260300,27 | 336070,63 |
| გაუნაწილებელი მოგება | ---------------------------------- (5310) | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი | ---------------------------------- (5320) | 550 | 0,00 | 0,00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | 560 | *260300,27* | *336070,63* |
| სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი | | 570 | *480215,70* | *519588,86* |

* 2012 წლის პროგრამული ანგარიში წარმოდგენილი არ არის, რადგან წლის განმავლობაში ფონდს არ მიუღია შემოსავალი (მათ შორის გრანტის სახით) და არ გაუწევია სხვა საქმიანობა, გარდა ადმინისტრაციული დანახარჯებისა.

# ჰოლივუდის ღიმილი

უთუოდ გსმენიათ, რომ შუა საუკუნეებში მონათა ბაზარზე „ცოცხალი საქონლის“ ხარისხს კბილების მიხედვით ადგენდნენ: მისი ფასი, ვისაც საღი კბილები ჰქონდა, ერთიორად იზრდებოდა, ცუდი კბილების პატრონს კი არაფრის იმედი უნდა ჰქონოდა — მუშად არ გამოდგებოდა.

ის სასტიკი დრო დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, თუმცა ახლა ექიმებს კბილებით უფრო მეტის გაგება შეუძლიათ, ვიდრე ოდესმე. მაგალითად, მოთეთრო-რძისფერი — უმეტესად ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე (ფუნქციის გაძლიერებაზე) მიუთითებს, მუქი მოყვითალი-მოწითალო შეფერილობის — კი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერფუნქციის მანიშნებელია, მოყვითალო-მოყავისფრო ნადები მწეველს ამხელს...

წვრილი, ყვითელი ზოლები იმაზე მიგვანიშნებს, რომ კბილების ფორმირებისას მინერალური ცვლა დაირღვა; მათი მიხედვით იმის დადგენაც კი შეიძლება, როდის იღებდა ბავშვი ანტიობიოტიკებს. ხოლო ის, რომ სტომატოლოგები კბილებზე ცნობენ მკერავებს, გურმანებსა და ტკბილეულის მოყვარულთ, ამაზე, აღარავინ დავობს.

საღ კბილებს, გარდა იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს როზად დააყოლოთ, ოღონდ — არა მთელი დღის განმავლობაში;

როგორი უსიამოვნოც უნდა იყოს, წელიწადში ორჯერ უთუოდ უნდა ეწვიოთ სტომატოლოგს, თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც;

ლამაზი ღიმილი მაინცდამაინც ყურებმდე გახსნილი პირი როდია: ისე უნდა გაიღიმოთ, ღრძილები არ გამოგიჩნდეთ;

გარდა კბილებისა, ღიმილს მომხიბლაობას ლამაზად შეღებილი და მოვლილი ტუჩებიც მატებს. ტუჩის საცხით მოსვრილი კბილები კი იმაზე მეტყველებს, რომ დაბნეული და ფეთხუმი ხართ, ამიტომ ყურადღებით შეარჩიეთ საცხის ფერი და სისქე;

ბოლო დროს ძალზე მოდურია კბილების გათეთრება და ბევრი მას უსისტემოდ მიმართავს. ქათქათა კბილები, რა თქმა უნდა, ძლიერ ეფექტურია, მაგრამ ამ მეთოდსაც აქვს ნაკლი — რამდენიმე ხნის შემდეგ კბილები თავიანთ პირვანდელ ფერს იბრუნებს. თუმცა, თუ თვალისმომჭრელი, ელვარე ღიმილი აკვიატებულ იდეად გექცათ, მიმართეთ სპეციალისტს, რომელიც დაადგენს, რამდენად შეიძლება ამ მანიპულაციის ჩატარება თქვენი ღრძილების, კბილის მინანქრისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსისთვის.



საჭმლის მონელებისას და ორგანიზმს მრავალი ინფექციური აგენტისგან იცავს, კიდევ ერთი — ესთეტიკური — დატვირთვაც გააჩნია.

„სფინქსის ღიმილმა“, საუკუნეთა მანძლზე რომ აჯადოებდა მნახველებს, მომხიბლაობა თანდათან დაკარგა. პოსტინდუსტრიულმა სამყარომ მას „ჰოლივუდის ღიმილი“ არჩია.

**თუ ასეთ ღიმილზე ოცნებობთ, ზოგი რამ დაიხსომეთ:**

შეეცადეთ, რაციონი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი გქონდეთ.

ყველაზე მეტი მიირთვით ხილი, ბოსტნეული, მწვანილი: ქინძი, ოხრახუში, ნიახური და კამა.

ჭამა რაიმე მკვრივით, მაგალითად კიტრით, ვაშლით ან ბოლოკით დაასრულეთ — ეს ხელს შეუწყობს კბილების თვითგაწმენდას. ჭამის შემდეგ შეგიძლიათ დაღეჭოთ უშაქრო საღეჭი რეზინი, ოღონდ, არაუმეტეს 10-20 წუთი;

ნუ მიირთმევთ ტკბილეულს კერძსა და კერძს შორის, დესერტი შეგიძლიათ, ნასადილევს ჩა-

საზოგადოდ, ყველაზე ჯანსაღი კბილები კეთილშობილი სპილოს ძვლის ფერისაა; სწორედ ეს ფერი გვაუწყებს, რომ ამ კბილების პატრონი სრულფასოვნად იკვებება, ესე იგი, იღებს კბილის მინანქრისთვის საჭირო ფთორის ოპტიმალურ რაოდენობას.

გარდა ამისა, სპილოსძვლისფერი მინანქარი თეთრზე გაცილებით მყარი, სქელი და გამძლეა.

და ბოლოს, კბილების სითეთრე გუნება-განწყობაზეც ახდენს გავლენას: ჯანსაღი, ჯანმრთელი, უდეფექტო კბილები ხომ კიდევ ერთი მიზეზია ღიმილისთვის, მაშინ, როცა მოუვლელი კბილების პატრონები კომპლექსდებიან, უარს ამბობენ ურთიერთობებზე და საკუთარ თავში იკეტებიან.

ასე რომ, მოუარეთ კბილებს — ისინი თქვენი ღიმილის გარანტები არიან.

რა მნიშვნელობა აქვს, ამ ღიმილს „სფინქსისას“ დავარქმევთ თუ „ჰოლივუდისას“... ღიმილი ყოველთვის ღიმილია — დიდი მეგობრობის დასაწყისი და ადამიანთა გულის მონადირების საუკეთესო საშუალება.



# სტრესი ორგანიზმს ნელ-ნელა ანგრევს

### რა გველის სტრესისგან?

თუუათასგვარ თეორიას დავუჯერებთ, მისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ, განსაკუთრებით კი დაავადებებს, ბანალური გრიპით დაწყებული, ავთვისებიანი სიმსივნეებით დამთავრებული.

### რა არის სტრესი?

სამედიცინო პრაქტიკაში ტერმინი stress 1936 წელს კანადელმა ფიზიოლოგმა ჰანს სელიემ შემოიღო.

მანვე შემოგვთავაზა სტრესის უნივერსალური თეორია, რომლის ვულგარიზებული დასკვნა ასე ჟღერს: „ყველა ავადმყოფობის სათავე სტრესია“.

ის, რასაც მთელი მსოფლიო ებრძვის, „დისტრესია“, ანუ სიტუაცია, როცა გარეშე გამღიზიანებელი ფაქტორების დონე ადამიანის დამცავი სისტემების შესაძლებლობებს აჭარბებს.

თუკი სტრესული ფაქტორები ორგანიზმზე ხანგრძლივად მოქმედებს, ან ადამიანის დამცავი მექანიზმები თავიდანვე სუსტია, გამოფიტვის სტადია გარდაუვალია.

სინამდვილეში, სტრესი ყოველთვის არასასურველი ცხოვრებისეული მდგომარეობა როდია, როგორც ამას ბევრი ფიქრობს; რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ იგი ორგანიზმის დამცავი რეაქციაა არასასურველი გარემო სიტუაციისგან. სწორედ ცხოვრებისეული პატარ-პატარა სტრესების წყალობით ახერხებს ადამიანი დაკისრებულ მოვალეობათა გაძლოლას და რაც მთავარია, უძლებს უფრო დიდ და მასშტაბურ დარტყმებს.



სტრესის გარეშე ცოცხალი ორგანიზმი კარგავს ბუნებრივ, სასიცოცხლოდ აუცილებელ ტონუსს და გაცილებით დაბალხარისხიან არსებობაზე გადადის.

ასე რომ, სტრესი სულაც არ ნიშნავს ბოროტებას!

ამის დასტურად ეს მაგალითიც გამოდგება — ერთ-ერთ უცხოურ ზოოპარკში ვეფხვები, მიუხედავად იმისა, რომ იდეალურ პირობებში ჰყავდათ (ყოველდღეფჭამდნენ ხორცს მოჭარბებით, ცხოვრობდნენ ბუნებრივ საცხოვრებელთან მაქსიმალურად მსგავს გარემოში), მაინც ვერ მრავლდებოდნენ. რეგულარული კვებისას, როცა ზომაზე მეტს ჭამდნენ და არაფერზე ზრუნავდნენ, ერთმანეთი არც კი ახსენდებოდათ.

მოგვიანებით, ზოოპარკის თანამშრომლებმა მათ ხელოვნურად შეუქმნეს სტრესული სიტუაცია — საკვებს დღეგამოშვებით აძლევდნენ, ამასთან, გაცილებით მცირე ულუფებით... ვეფხვებს რამდენიმე დღეში მოეძალათ ვნება და გამრავლებასაც შეუდგნენ.

ასე რომ, ბუნებრივ პირობებში სტრესის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, როცა ადამიანს რეალური სტრესი აკლია, მოქნილი გონების წყალობით, მას თავად იგონებს. შემთხვევით არ არის, ფსიქიური მოშლილობები, დეპრესიები და თვითმკვლელობები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უფრო ხშირი მოვლენა, ვიდრე „ცხელ წერტილებში“, სადაც რეალური და არა გამოგონილი პრობლემები ისედაც თავზე საყრელია.

გამოგონილ სტრესთან ბრძოლა გაცილებით რთულია, ვიდრე ნამდვილთან.

### ყველა ავადმყოფობის სათავე სტრესია!

მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი სტრესია.

ამერიკელმა მეცნიერებმა ტ. ჰოლმსმა და რ. რეიემ სტრესების 100-ქულიანი შკალა შემოიღეს, რომლის მიხედვითაც, ახლობელი ადამიანის სიკვდილი — 100 ქულაა, ქორწინება — 50, ფეხმძიმობა — 40, ახალი თანამდებობა — 40, სამსახურში დაწინაურება დაახლოებით იმდენივე — 39, ხოლო ორჯერ დაოჯახება, დაახლოებით ახლობელი ადამიანის სიკვდილის ტოლფასი ყოფილა — ის 98 ქულას უტოლდება.

### სტრესი და სქესობრივი ცხოვრება

როგორ მოქმედებს სტრესი სქესობრივ ცხოვრებაზე?

სხვადასხვაგვარად.

სოციალური სტრესისას: რევოლუციები, ომის და სხვადასხვა სოციალური კატაკლიზმის დროს შობადობა კი არ მცირდება, პირიქით — მატულობს. საამისო რაციონალური განმარტებაც არსებობს — როცა ქუჩებში ტანკები გრუხუნებს, ეზოებში კი კომუფლირებულ სამოსში გამოწყობილი ხალხია თავმოყრილი, უიარაღო ადამიანის უკანასკნელი თავშესაფარი ოჯახი და სიყვარულია.

ასე რომ სტრესი, რომელსაც ადამიანი მთელ საზოგადოებასთან ერთად განიცდის, ფიზიოლოგიურად ააქტიურებს ადამიანებს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ, პერსონალურ სტრესს — ინდივიდუალური დარტყმები (ახლობლის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები) სექსუალურ აქტივობას საგრძნობლად აქვეითებს; ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ახლობელი ადამიანის დაკარგვის ან გაკოტრების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ვნება მოეძალება.

თუმცა მედალს ყოველთვის აქვს ორი მხარე, თუ პრობლემას სხვა მხრიდან შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სტრესისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ სექსია.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ორგაზმის დროს სხეულში გამოიყოფა ენდორფინები — განცხრომისა და ნეტარების ჰორმონები, რომლებიც ამცირებს აგრესიას, შფოთვას, განგაშს, უძილობასაც კი შველის.

თუმცა, არც ის დაგავიწყდეთ, რომ სექსიც სტრესია, ასე რომ, ნურც ზომიერებას უღალატებთ.

### სტრესის საწინააღმდეგო პანაცეა

სტრესის საწინააღმდეო პანაცეა მხოლოდ სიყვარულია.

ვიქტორ ფრანკლინი გერმანელი მეცნიერია. მან ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარა და მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ სტრესის საწინაალმდეგო უნივერსალური წამალი სიყვარული, შემოქმედება და იმ ადამიანებზე ზრუნვაა, ვისაც შენზე მეტად უჭირს.

გავიხსენოთ, რომ სიტყვა სტრესს-ის ზუსტი თარგმანი დაძაბულობაა, ასე რომ, ნუ დაიძაბებით, ნუ დაიზაფრებით და გიყვარდეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი!

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ღონღაძე**

# მოწამლე და გადააგდე – რატომ ისაჭურისებენ თავს ობობები სექსის შემდეგ?

მგლები ხაფანგში მოხვედრისას თათებს იღრღნიან, ხოლო ობობა იკვეთს სასქესო ორგანოს, რადგან მდედრი ობობების ეშინია. კანიბალიზმი ობობებში ჩვეულებრივი ამბავია. მდედრები რეგულარულად ჭამენ მამრებს. ამიტომ მამრი ობობების წინაშე ყოველთვის დგას პრობლემა – სიამოვნება თუ სასქესო ორგანო?!

ცდისთვის მეცნიერებმა ველური მოზარდი ობობები წამოიყვანეს და ლაბორიატორიაში მოათავსეს. თან აკვირდებოდნენ, რომ არ მომხდარიყო არადროული სექსი მათ შორის. შემდეგ მამრი გადასვეს მდედრ ობობასთან, მაგრამ ყველა ოცდახუთივე სექსუალური აქტი მოშხამვით და მამრის სიკვდილით დამთავრდა. მა-



სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის ბიოლოგები და აშშ-ის ბუნების განვითარების ისტორიის თანამშრომლები დიდხანს იკვლევდნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ობობებში ასეთი თავგანწირვის მიზეზი.

ნეფილენგისი ობობების განსაკუთრებული სახეობაა. ორგანიზმის დიამეტრი საცეცების გარეშე 15 მმ-ია. მდედრ ნეფილენგისს სამჯერ ნაკლები აქვს. ასეთი ჯიშის ობობები ინდოეთიდან იაპონიამდე ტროპიკულ ტერიტორიებში ბინადრობდნენ და მშვენივრად გრძნობენ თავს ადამიანთა საცხოვრებელ სახლებშიც.

შინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს გადაემალათ მამრი ობობა, რათა შეენარჩუნებინათ იმ სპერმატოზოიდების რაოდენობა მდედრი ობობებისთვის, რაც მათ ორგანიზმში დაგროვდა და არ გაფანტულიყო მამრის ორგანოების შეჭმის პროცესში.

აღმოჩნდა, რომ მდედრი იმახსოვრებდა იმ მამრ ობობას, რომელთანაც აქტი ჩაატარა და მასთან ხელახლა შეხვედრისას მაშინვე მიიწევდა პარტნიორის სასქესო ორგანოს მოსაკვეთად. როცა ხელში ჩაიგდებდა, მას გულდამშვიდებით ჭამდა.



# ტიტანიკის დაღუპვა – პირველი ტერაქტი მსოფლიო ისტორიაში

ტიტანიკის დაღუპვა იყო პირველი ტერაქტი, რომელიც „მსოფლიო მთავრობამ მოაწყო“, – მიიჩნევს დევიდ აიკი, ყოფილი ჟურნალისტი და ბიბისის თანამშრომელი.

დევიდ აიკი და ჯონ კოლემანი, რომლებიც ავტორები არიან წიგნისა „300 კომიტეტი – მსოფლიო მმართველობის საიდუმლოებანი“, დარწმუნებული არიან, რომ არსებობს ყოვლისშემძლე ორგანიზაცია, რომლის დამაარსებლები არიან მსოფლიოს უმდიდრესი ფინანსური დინასტიების წარმომადგენლები.

ისინი მიიჩნევენ, რომ ტიტანიკის დაღუპვა მსოფლიოსთვის მაშინ იყო, როგორც ჩერნობილის კატასტროფა ან ნიუ-იორკში ტყუპი ცათამბჯენების აფეთქება, რაც უბრალო ტრაგედიები კი არა, იმ ადამიანთა ჯგუფების გეგმების რეალიზაციის შედეგი იყო, რომლებიც ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი ინტერესების სფერო მთელ დედამიწაზე.

# ხალები ადამიანების ბედს განსაზღვრავენ



ნიშნები სხეულზე ადამიანის ბედზე მიუთითებს. ამბობენ, რომ დედამიწაზე არ არის ადამიანი არ ჰქონდეს ხალი ან რაიმე ნიშანი სხეულზე. კარგადაც რომ არ დააკვირდეთ სინდი კროუფორდს, თვალში მისი ხალი მაინც გეცემათ. ბავშვობაში, ალბათ, რას არ იგონებდა ყველა გოგონა ამ სუპერმოდელს რომ დამსგავსებოდა. მისი ხალი ტუჩს ზემოთ კარგა ხანს ითვლებოდა სილამაზის სიმბოლოდ, მაგრამ მერლინ მონროს ცნობილი ხალი? მრავალი მამაკაცი ამ ხალს ჭკუიდან გადაჰყავდა. ნიშნები ადამიანის სხეულზე მაგიური დანიშნულებისაა. მათი მდებარეობის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობაც და თვით ბედის განსაზღვრაც კი არის შესაძლებელი.

ნებისმიერ ადამიანს სხეულზე 20 ასეთი ნიშანი აქვს. „დაბადებიდან მაქვს სახეზე ხალი, მან მე ბევრი უსიამოვნება მომიტანა. ზოგჯერ სარკეში ჩახედვაც კი არ მინდოდა. რადგან მეჩვენებოდა, რომ ეს ხალი ჩემს გარეგნობას ამახინჯებდა“, – ჰყვება ქალბატონი, რომელიც დასძენს, რომ ამის გამო მუდმივად საყვედურობდა დედას, რადგან უთხრეს, რომ ორსულობის პერიოდში მოცხარი მოიპარა და ამ მოცხარის ნაყოფი იზრდება ახლა სახეზე. ხალი, რომელიც „სტანჯავდა“ ქალბატონს, ბოლოს და ბოლოს მოიშორა. აღმოჩნდა, რომ ეს ხალი საბედისწერო იყო, რის შემდეგაც მასში უამრავმა დაავადებამ იჩინა თავი.

ეს ერთი ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ იმ ქალბატონის მსგავსად ბევრი ადამიანი იცილებს ხალებს და არც წუხან ამის გამო. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხალს გადაურჩენია ადამიანი. „ ისეთი, ხალი მქონდა როგორიც ჩემს დედას – ტუჩს ზემოთ. ერთხელ მოვხვდი საშინელ ავტოავარიაში. საავადმყოფოში მიმიყვანეს, სადაც ერთმა მოხუცმა თქვა – კარგია, რომ ხალს რაიმე არ მოუვიდა, ეს ნიშანი მფარველმა ანგელოზმა დაასვა, მითუმეტეს თუ ის მემკვიდრეობით გადმოეცათ“ – ჰყვება ახალგაზრდა მამაკაცი.



უამრავი ტიპის ხალი და ლაქა არსებობს. ზოგიერთი ასო-ბგერას ჰგავს, ზოგიერთი – ციფრებს, ან გეომეტრიულ ფიგურებს. ზოგიერთს ხალი მისტიკური მნიშვნელობის ნიშნად მიაჩნია. ერთი გოგონა ჰყვებოდა, რომ მას მარჯვენა მხარზე დაბადებიდან აქვს ლაქა, რომელიც ჰგავს გადმობრუნებულ ასო S-ს. ეს ამბავი მას მუდმივად შიშს ჰგვრიდა. საინტერესო ისაა, რომ ასეთი ლაქები აბსოლუტურად უმტკივნეულოა.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში ლაქებიან ადამიანებს კოცონზე წვავდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ მოჰქონდათ უამრავი ბოროტება ადამიანებისთვის. მაგრამ ამავე დროს არსებობდა აზრიც, რომ თუკი ადამიანს სხეულზე ბევრი ხალი აქვს, ბედნიერი იქნებაო. არის ამ მოსაზრებაში სიმართლის მარცვალი? ამაზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

ფსიქოლოგიის პროფესორი ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ბორის ხიგირი აღნიშნავს, რომ ხალებს ბევრი რაიმეს თქმა შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ ბედი ჩვენი ბედის წიგნში წერია, რომლის წაკითხვისას ბევრი რაიმეს გაგება შეიძლება ადამიანზე, მის ხასიათზე, ბედზე. ხალებს შეუძლია მოგვიტანოს ბევრი ბედნიერება და ბევრი უბედურებაც. თუ ხალები მშობლებისგან გადმოგეცათ და არის იმ ადგილას, სადაც აქვს დედას, მაშინ მას დამცავი ფუნქცია ექნება. მისთვის ხელის ხლება არაფრით არ შეიძლება, – ამბობს ექსპერტი.

დიდი ხალი ყელზე, რომელიც ერთთეთრიანის ტოლია ლაპარაკობს ადამიანზე, რომელიც არის ემოციური, აქვს სწრაფი რეაქციები, მიდრეკილია ხელისუფლებისა და ძალაუფლებისკენ.

მეცნიერთა მტკიცებით, ადამიანს, რომელსაც ხალი ცხვირზე აქვს, გამოირჩევა კარიერის სიყვარულით. ის წარმატებებს აღწევს პროფესიულ საქმიანობაში.

ხალი ყურებზე მოუსვენარ ადამიანებს აქვთ. ისეთებს, რომლებიც ემოციონალური ნატურები არიან.

ხალი შუბლზე ფიქრიანი, დეპრესიული, მისტიკის მოყვარული ადამიანებს აქვთ.

თუკი ნიშანი მარჯვენა ბეჭზე გაქვთ, თქვენი ნერვიული სისტემა წესრიგში არ ყოფილა – ისინი ფიქრობენ, სხვები აკეთებენ, მესამე შრომის ნაყოფს იმკის.

ჯვრის ფორმის ხალი ადამიანის ორგანიზმისთვის – იგი ისეა, როგორც მფარველი ანგელოზი. მოწევა ამ ადამიანებისთვის სასტიკად არის აკრძალული. ბავშვობაში ასეთი ნიშნის მატარებლებს ზედა სასუნთქი გზების დაავადებები ემართებათ.

ხალის შეფერილობას შეუძლია მოგვითხროს მისი მფლობელის შესახებ.

მუქი ფერის ხალის მქონე ადამიანებს რთული ხასიათი აქვთ და არცთუ უბრალო ბედი. მათ უყვართ სიცოცხლე, შრომა ერთსა და იმავე ადგილზე. თუკი ხალზე თმებია, მისი მფლობელის წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს.

მეცნიერები თავიანთი ტერმინოლოგიით ხალს თავის სახელს არ უწოდებენ. ამბობენ, რომ მას ჰქვია ნევუსი, კანის არაჩვეულებრივი კეთილთვისებიანი წარმონაქმნი. აქ მისტიკური არაფერია. 60 წლის ასაკიდან მათი უმრავლესობა ქრება. ხალების წარმოშობის უამრავი მიზეზი არსებობს – მზე, მემკვიდრეობითობა, რადიაცია, ეკოლოგია, სოლარიუმი. მაგრამ თუ ადამიანს ბევრი ხალი აქვს, ის ბედნიერიაო, ყოველთვის სიმართლე არ არის. „ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა ბევრი იქნება ის თუ ცოტა. თუკი ხალი იზრდება, ხდება სისხლმდინარე, იცვლის ფერს, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს. მედიცინის ისტორია იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა მოკვეთილ ხალში შემდეგ აღმოუჩენიათ ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედები.

ასე, რომ მოგწონთ თუ არა თქვენი ხალი, ყურადღებით მოეკიდეთ მას. კანის კიბო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ჩვენს დროში, ხოლო რაც შეეხება ხალის ადგილმდებარეობას. მიიღეთ ის ისე, როგორც მტკიცებულება. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გაიცნობ, არც ისე სასიამოვნოა? მის შესახებ ხალი ყველაფერს მოგიყვებათ.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**







(სკანვორდი — კითხვები გაურჩეველია)

# თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აგატა, ამელი, ეკალა, ვარტა, ნადია, ოპანა, ოზონი, ოპილი, პაჩია, სალდი, ტესტა, უფიცა, შონია, ცოფნა, ძაძრი, ჩაშხა, პურია.
ვერტიკალურად: აპატა, ამელი, ეფიკა, გაბრო, ზურნა, თაელი, თამირო, იანკა, იორლა, კაიფე, მუმტა, ნანკა, ტაბნი, რეზოო, სახრე, ფიშტო, ქინძი, ჩანკა, წრომი, ჯვალი, პაატა.

# საიდან ვიწყოთ

ჰორიზონტალურად: 1. კედელი, სახელი, ბუღონი. 2. ღუქანი, დეკოლი, დალასი. 3. სიგარა, წამალი, მეთოდი. 4. ტატრა, ტანგო, ტალკი. 5. ლაგრა, კანჭი, კარიო. 6. ადამია, ერეკლე, ოდილია. 11. პასკალი, კარმენი, კოსმორი. 12. რეკვიემი, პარკასის მანდილი. 13. გარეკეა, გასილი, მუდილა. 14. მაზეხი, კატერი, ნაკოლი. 15. ცამეტი, პუღელი, მანათი. 18. კრიუ, მეკი, ნითი.
ვერტიკალურად: 3. სიგარეტი, სამოვარი სატელეფო. 7. მამალე, ჯუღელი, ფურანი. 8 კორიკანი, გალაგანი, დეკოლონი. 9. ტორილა, კურარე, ბერიკა. 10. პარასოლი, შორაპანი, რიიკარდი. 13. გონიკა, სახელი, ხელობა. 16. დალაკი, ბარაკა, კოშორი. 17. ღუმილი, ლალაკი, სიკაბი. 19. კლარესი, ელერონი, პროცესი. 20. მამალი, ლოლიტა, ტიტინი. 21. პრომეთე, ფერმელი, კემბრი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 23 | | 6 | | 13 | 9 | 20 | 9 | 17 | 9 | |
| 33 | 25 | 19 | 5 | 17 | 2 | | 5 | | 9 | | 16 |
| | 31 | | 1 | | 29 | 7 | 17 | 9 | 13 | 1 | 2 |
| 30 | 26 | 28 | 6 | 6 | 9 | | 20 | | 24 | | 4 |
| | 17 | | 14 | | 8 | 9 | 2 | 26 | 9 | 12 | 5 |
| 27 | 2 | 27 | 2 | 4 | 2 | | 4 | | | | 1 |
| 9 | | 9 | | 5 | | 15 | 2 | 4 | 9 | 21 | 2 |
| 18 | 6 | 22 | 11 | 2 | | 9 | | 6 | | 26 | |
| 14 | | 2 | | 30 | 7 | 24 | 6 | 33 | 7 | 17 | 2 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 2 | | 25 | | 2 | | 2 | |
| | 17 | | 2 | | 3 | | 12 | | 23 | | 28 |
| 29 | 26 | 13 | 10 | 14 | 2 | | 6 | | 22 | | 9 |
| | 6 | | 9 | | 13 | 9 | 21 | 4 | 2 | 13 | 2 |
| | 30 | | | | 24 | | 4 | | 15 | | 1 |
| 32 | 2 | 32 | 2 | 13 | 2 | | 9 | 4 | 9 | 15 | 2 |

| | |
|---|---|
| ა-9 | ს-3 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-7 |
| დ-24 | ფ- |
| ე- | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-2 | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ-27 |
| ნ- | ჭ- |
| ო-25 | ხ- |
| პ | ჯ |
| ჟ- | ჰ- |
| რ-17 | |

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვარ მარტოხელა. მივლის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელთანაც მე დავდე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ჩემი გარდაცვალების შემდეგ მათ რჩებათ ჩემი ბინა. ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათ ჩემი ჯანმრთელობა სრულებითაც არ ანაღვლებთ. ჩვენი ურთიერთობა აუტანელი გახდა. შემიძლია თუ არა ხელშეკრულების გაუქმება?**

— შეგიძლიათ.

— სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის მიხედვით, როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს, ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

* * *

ახლობელს ვაჩუქე როიალი, მაგრამ მან ჩემს მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა, მაქვს თუ არა უფლება, საჩუქარი უკან დავიბრუნო?

— ეს შესაძლებელია.

სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

II ნაწილი. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

III ნაწილი: ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

* * *

**— ჩემი შვილი დაიღუპა ავტოავარიაში.**

**დამნაშავე ამჟამად მსჯავრდებულია. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. შემიძლია თუ არა, დამნაშავისგან მოვითხოვო სარჩო? რა ვადაში?**

— შეგიძლიათ.

— სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

II ნაწილი: სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია,მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამავე კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

აქვე გეტყვით, რომ, ვინაიდან, დაზარალებული გარდაიცვალა, თქვენ ან გარდაცვლილის მეუღლე იქნებოდით გამოძიების მიერ ცნობილი დაზარალებულად (ანუ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ).

დაზარალებულს შეუძლია,შეიტანოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ სარჩოს დაწესების შესახებ, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

* * *

**— შეიძლება თუ არა, საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს მომავალში შეძენილ ქონებაზე?**

— სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

* * *

**— ჩემი შვილი პატიმარია. გთხოვთ, მიპასუხოთ, ვინ აცხადებს ამნისტიას და იგეგმება თუ არა ამნისტიის გამოცემა?**

— ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

სამწუხაროდ, მე ვერ მოგახსენებთ ამნისტიის გამოცემის შესახებ ვერაფერს.

* * *

**— ჩემს შვილს ერთ-ერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის შეფარდებული ჰქონდა პირობითი სასჯელი, გამოსაცდელი ვადა 5 წლით. ამ პერიოდში ჩემმა შვილმა ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რის გამოც დაჯარიმებული იქნა. იმოქმედებს თუ არა ეს პირობით მსჯავრზე რაიმე სახით?**

— ვერ დაგამშვიდებთ, შესაძლებელია, იმოქმედოს. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებულმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს ერთი წლით.

* * *

**— გთხოვთ გაგვაცნოთ სასჯელთა სახეები.**

— სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ) თავისუფლების შეზღუდვა;

ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ი) ქონების ჩამორთმევა.

დასახელებული სასჯელის სახეებიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით.

ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის სახე.



* * *

**— რამდენ ხანს ითვლება პირი ნასამართლევად?**

— მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.

* * *

**— რა სახის დანაშაული ითვლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად?**

— განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

* * *

**— ჩემმა შვილმა საბერძნეთში ჩაიდინა დანაშაული. შეიძლება თუ არა ის საქართველოში გასამართლდეს?**

— თქვენ დეტალების დაკონკრეტებაზე თავი შეიკავეთ. არ ვიცი, რა სტადიაშია ამჟამად სისხლის სამართლის საქმე.

ზოგადად კი მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის I ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდნეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

სს კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისთმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

* * *

**— შეიძლება თუ არა, ბებიამ იშვილოს შვილიშვილი?**

— შეიძლება, ოღონდ გაშვილება იურიდიულად უნდა იქნას გაფორმებული, „შვილად აყვანის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

* * *

**— შეიძლება თუ არა შვილად აყვანა სასამართლოს გარეშე, მაგალითად, ნოტარიუსის მეშვეობით?**

— არა.

შვილად აყვანის პროცედურა იწყება სააგენტოდან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამომტანი არის მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო. ეს გახლავთ სამოქალაქო კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნა.

* * *

**— მყავს ორი მოზარდი ქალიშვილი. სიამოვნებით გავზრდიდი ვაჟს, როგორც შვილობილს. მინდობით აღზრდა მაქვს მხედველობაში. რა ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო და რა შეღავათები მექნება?**

— ასეთი შეკითხვა პირველად შემოვიდა „საერთო გაზეთის“ რედაქციაში.

მოგახსენებთ:

მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება. დედობილი (მამობილი) ბავშვის მინდობით აღზრდისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს სოციალურ დახმარებას. კერძოდ, ჯანმრთელი ბავშვისთვის — 200 ლარს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის — 300 ლარს. აღზრდის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმღები მშობლები (დედობილი, მამობილი) თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან იმ შემთხვევაში, თუ მისი შემოსავალი, ერთი წლის განმავლობაში 6000 ლარს არ გადააჭარბებს.

დედობილს (მამობილს) ბავშვის მინდობით აღზრდა შრომით სტაჟში ეთვლება.

* * *

**— ვარ აფხაზეთიდან დევნილი. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. ვიხდი თუ არა სახელმწიფო ბაჟს?**

— არ იხდით. სარჩელს აუცილებლად დაურთეთ დევნილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

* * *

**— რა არის დაკავება და რამდენ ხანს შეიძლება პირი იყოს დაკავებული?**

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.

პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

ამავე კოდექსის 174-ე მულის მე-5 ნაწილის მიხედვით, დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

* * *

**— შეიძლება თუ არა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გავაფორმოთ სასჯელზე შეთანხმებით, ბრალის აღიარების გარეშე.**

— შეიძლება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს, თუმცა აქვე დაგიკონკრეტებთ შემდეგს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

* * *

**— შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე?**

— არა.

დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

* * *

**— დავაყენე გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, რომელიც არ დააკმაყოფილეს. მაქვს თუ არა მისი გასაჩივრების უფლება?**

— გაქვთ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, 1 კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან.

* * *

**— რა ვადაში შეიტანება საკასაციო საჩივარი?**

— საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. (მუხლი 302).

# ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში

## თბილისი 2013


















